საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 193 (995)
შაბათი, 29 ოქტომბერი, 1994 წელი.
ფასი 100.000 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძე ბათუმში

28 ოქტომბერს ბათუმში ჩავიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. ბათუმის აეროპორტში მას დახვდნენ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც შემდგომ თან ახლდნენ აჭარაში ყოფნისას.

სახელმწიფოს მეთაურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომის მუშაობაში. მან მაღალი შეფასება მისცა ამგვარ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს მეცნიერების მონაწილეობას რესპუბლიკის რეგიონებისათვის დამახასიათებელი პრობლემების გადაჭრაში.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე გაეცნო ირაკლი აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტს. ქუჩას ეს სახელი მიენიჭა გამოჩენილი ქართველი პოეტის დაბადებიდან 85-ე წლისთავის აღსანიშნავად.

სახელმწიფოს მეთაური დაესწრო აჭარისწყალსა და მაჭახელაზე აგებული საავტომობილო ხიდების საზეიმო გახსნას. ამ ხიდების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კავშირი ბათუმს დაშორებულ დასახლებულ პუნქტებთან. ბოლო წლებში აჭარაში ინტენსიურად შენდება ხიდები, უმჯობესდება საკომუნიკაციო სისტემები, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს გონიოს ციხე-სიმაგრე.

საღამოს სახელმწიფოს მეთაური დაესწრო ბათუმის ოპერის თეატრში სპექტაკლ „ლელას". სპექტაკლს ესწრებოდნენ, აგრეთვე, საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლები.

იმავე დღეს ბატონი ედუარდ შევარდნაძე თბილისს დაბრუნდა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრზე ფ. ინჯიაზე ძალადობის ფაქტის შესახებ

1994 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის კაბინეტში მოხდა ძალადობის ფაქტი საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრ ფ. ინჯიაზე სარეზერვო მობილური სატელევიზიო გადამცემის მითვისების მიზნით.

დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსს ი. გიორგაძესა და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ჯ. ბაბილაშვილს სასწრაფოდ მოიკვლიონ 1994 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრ ფ. ინჯიაზე მომხდარი ძალადობის ფაქტი და შედეგები მომახსენონ.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1994 წლის 27 ოქტომბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის შესახებ

1. განთავისუფლდეს ვიქტორ ლორთქიფანიძე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს გურამ მამულაშვილს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1994 წლის 27 ოქტომბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი,
1994 წლის 12 ოქტომბერი

(კანონი იხ. მე-2 გვ.).

ჩვენს გაჭირვებაზე

ვინ დგას გაკოტრებული კომპანიების უკან?

ეს კითხვა, რომელიც კომპანიების მეანაბრეთა მსგავსად არანაკლებ აინტერესებთ პარლამენტარებსაც, ვინაიდან ზოგიერთი მათგანიც გაკოტრებულთა რიგებში აღმოჩნდა. ამიტომ საქართველოს პარლამენტის ბოლო სხდომებზე ეს საკითხი არაერთგზის წამოიჭრა.

პარლამენტარებმა მოითხოვეს იმ თანამდებობის პირთა (თვით პარლამენტის წევრთა ჩათვლით) პასუხისგებაში მიცემა, ვინც რეკლამას უწევდა იმ კომპანიებისა და ფირმების საქმიანობას, რომლებმაც მრავალი ათასი მეანაბრე მოატყუეს.

ზოგიერთი პარლამენტარის აზრით კომპანიებისა და ფირმების გაკოტრება სერიოზულ მოვლენებთან არის დაკავშირებული და ამიტომ პირდაპირ უნდა ითქვას, თუ ვინ დგას მათ უკან.

როგორც პარლამენტის სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, ეს საკითხი პარლამენტმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა. შექმნილია კომისია ასეთი კომპანიებისა და ფირმების საქმიანობის შესასწავლად. ამასთან, აღნიშნა, რომ პირველი და გადამწყვეტი პასუხისმგებელი თავისი საქმიანობისათვის არის მოქალაქე.

პრესსამსახური უარყოფს

ერთხელ კიდევ „ოქროს თასის" შესახებ

25-26 ოქტომბერს გაზეთ „რეზონანსში" დაიბეჭდა ქეთი ბეროშვილის სტატია სახელწოდებით „ოქროს თასით" ჩაილურის წყალი დაილია. ნუ დაიგვიანებთ პაემანზე „ოქროს თასის" გულისათვის". სტატიაში მეანაბრეთა ინფორმაციაზე დაყრდნობით კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „სახელმწიფომ კომპანიას ხორბლის შესაძენად თანხა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო, რადგან კომპანიას ოთხჯერ უფრო ნაკლებ ფასში შეეძლო ხორბლის შეძენა. ამის შემდეგ გამოიყო კომისია „ოქროს თასის" კომპანიის შესამოწმებლად, რის შედეგადაც შეექმნა მთელი რიგი პრობლემები „კომპანიას".

ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება და სრული ცილისწამებაა. არავის აქვს პურის პრობლემით სპეკულაციის უფლება. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას ბრძანებით შექმნილია ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი მინისტრის მოადგილის გენერალ ჯემალ გახოკიძის ხელმძღვანელობით. მხოლოდ ძიების შედეგებს შეუძლია ნათელი მოფინოს „ოქროს თასის" „პრობლემას". მანამდე კი ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ელემენტარული ეთიკა და მოერიდოს დაუსაბუთებელ ბრალდებებს.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს-ბუტროს გალი

თბილისში ვიზიტის წინ

პოლიტიკური პორტრეტი

ბუტროს-ბუტროს გალი დაიბადა 1922 წლის 14 ნოემბერს, კაიროში. იგი გაეროს მეექვსე გენერალური მდივანია 1992 წლის 1 იანვრიდან არჩეულია 5 წლის ვადით. მანამდე იყო ეგვიპტის საგარეო საქმეთა ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი.

ეგვიპტის პარლამენტის წევრი გახდა 1987 წელს, 1980 წლიდან კი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამდივნოს წევრი, სოციალისტური ინტერნაციონალის ვიცე-პრემიერი.

ბატონი ბუტროს-ბუტროს გალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იწვევდა საერთაშორისო საქმიანობას როგორც დიპლომატი, იურისტი, მეცნიერი და მრავალი გამოცემის ავტორი. ის გახლდათ საერთაშორისო სამართლისა და იურისტთა საერთაშორისო კომისიების წევრი. მისი გამოცდილება სამართალში, საერთაშორისო საქმეებსა და პოლიტიკურ მეცნიერებებში შეძენილია მრავალ პროფესიულ და აკადემიურ ასოციაციასთან, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტებთან, პოლიტიკურ მეცნიერებათა აფრიკული საზოგადოებისა და ჰუმანიტარული და პოლიტიკურ აკადემიასთან (საფრანგეთის აკადემია, პარიზი) თანამშრომლობით.

ოთხ ათეულ წელზე მეტია, მონაწილეობს მრავალრიცხოვან შეხვედრებში, რომლებზეც განიხილებოდა საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების, დეკოლონიზაციის, ახლო აღმოსავლეთის საკითხები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ეთნიკურ და სხვა უმცირესობათა უფლებების, ხმელთაშუა ზღვის რეგიონის და აფრო-არაბული თანამშრომლობის პრობლემები.

1978 წლის სექტემბერში ბატონი ბუტროს-ბუტროს გალი დაესწრო კემპდევიდის უმაღლესი დონის კონფერენციას და მონაწილეობდა მოლაპარაკებებში ეგვიპტესა და ისრაელს შორის შეთანხმების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1979 წელს. იგი ხელმძღვანელობდა თავისი ქვეყნის ბევრ დელეგაციას აფრიკული ერთიანობისა და მიუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობის შეხვედრებზე, აგრეთვე, საფრანგეთისა და აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურების უმაღლესი დონის კონფერენციაზე, გენერალური ასამბლეის 1979, 1982 და 1990 წლების სესიებზე.

1949 წლიდან საერთაშორისო სამართლის დოქტორია, აქვს სამართლის მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი, რომელიც მან მიიღო 1946 წელს კაიროს უნივერსიტეტში.

1949-1957 წლებში ბატონი ბუტროს-ბუტროს გალი იყო საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროფესორი კაიროს უნივერსიტეტში. 1974-1977 წლებში არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს წევრია.

მისი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, კვლევითი მუშაობა ფულბრაიტის კოლუმბიის უნივერსიტეტში (1954-1955); ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის კვლევითი ცენტრის დირექტორად (1963-1964); პარიზის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორად (1967-1968); კითხულობდა ლექციებს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე აფრიკის, აზიის, ევროპის, ლათინური და ჩრდილოეთ ამერიკის უნივერსიტეტებში.

ბატონი ბუტროს-ბუტროს გალი 1965 წლიდან იყო ეგვიპტის საერთაშორისო სამართლის საზოგადოების პრეზიდენტი, პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევის ცენტრის (ალ-აჰრამი) პრეზიდენტი (1975 წ.), ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის კურატორიუმის ადმინისტრაციული საბჭოს წევრი (1978 წ.), მშვიდობის მსოფლიო აკადემიის (მენტონი, საფრანგეთი) სამეცნიერო საბჭოს წევრი (1978 წ.), რომის საერთაშორისო საქმეების ინსტიტუტის წევრი (1979 წ.); 1971-1979 წლებში საერთაშორისო შრომის კონვენციებისა და რეკომენდაციების კომიტეტის წევრია.

არის 100-ზე მეტი ნაშრომისა და მრავალი სტატიის ავტორი, რომლებიც ეხება რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებს, სამართალსა და დიპლომატიას, აგრეთვე, პოლიტიკურ მეცნიერებას.

ბუტროს-ბუტროს გალის მიღებული აქვს 24 ქვეყნის — ბელგიის, იტალიის, კოლუმბიის, გვატემალის, საფრანგეთის, ეკვადორის, არგენტინის, ნეპალის, ლუქსემბურგის, პორტუგალიის, ნიგერიის, მალის, მექსიკის, საბერძნეთის, ჩილეს, გერმანიის, პერუს, კოტ დი ვუარის, დანიის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, შვეციის, კორეის რესპუბლიკის ჯილდოები და ხარისხები. იგი აგრეთვე არის მალტის რაინდთა ორდენის კავალერი.

მას შემდეგ, რაც ბუტროს-ბუტროს გალი შეუდგა გაეროს გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებას, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საერთაშორისო ინსტიტუტის გაძლიერებას. 1992 წლის 31 იანვარს, როცა ტარდებოდა უშიშროების საბჭოს პირველი შეხვედრა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე, გენერალური მდივანი მიიწვიეს, რათა მოემზადებინა გაეროს პრევენტული დიპლომატიის, მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების უნარის გაძლიერების საშუალებების ანალიზი და რეკომენდაციები. მშვიდობის ამ განზომილებებს გენერალურმა მდივანმა პოსტკონფლიქტური მშვიდობის მშენებლობის ახალი კონცეფცია დაუმატა. მისი ანგარიში სახელწოდებით „დღის წესრიგი მშვიდობისათვის" გამოიცა 1992 წლის 17 ივნისს. მასში განსაზღვრულია გაეროს როლი და ფუნქციები ახალ ერაში, რომლის დროსაც საფუძველი ჩაეყარა მრავალრიცხოვან სამშვიდობო ოპერაციებსა და მეთვალყურეთა მისიებს უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებით და გენერალური მდივნის მეთაურობით. ანგარიშმა, რომელიც თარგმნილია სულ ცოტა 29 ენაზე, ფართო დისკუსიის საბაბად იქცა.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ გაერომ უფრო მეტი სამშვიდობო ოპერაცია ჩაატარა, ვიდრე წინა 40 წლიწადის მანძილზე. ამ ოპერაციებში მონაწილეობდა 70 ათასი შენაერთი, სამხედრო მეთვალყურე და სამოქალაქო პოლიცია.

გენერალური მდივნის დანიშნული მრავალი სპეციალური ელჩი და წარმომადგენელი ურჩევს მას, თუ როგორ შეიქმნას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საომარი მოქმედების შეწყვეტის, დაძაბულობის შერბილების ან მშვიდობის კონსოლიდაციის პირობები. ხანგრძლივი მშვიდობის საფუძვლის შესაქმნელი სამშვიდობო ღონისძიებები გამიზნულია დემოკრატიული ინსტიტუტების რეფორმისა და გაძლიერების, დაპირისპირებული ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ომით დაზიანებული საზოგადოებრივი ქსელის აღდგენისთვის, კონფლიქტის განახლების თავიდან ასაცილებლად.

გენერალური მდივანი მუშაობს განვითარების გაძლიერებული და გაფართოებული კონცეფციის მიმართულებით. გაიმართა მნიშვნელოვანი კონფერენციების სერია. მათ შორის, სოფლის, ქალაქების ეკონომიკური განვითარების სამიტი (ჟენევა, 1992 წლის თებერვალი), გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარების საკითხზე (რიო დე ჟანეირო, 1992 წელი), ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია (ვენა, 1993 წელი); 1994 წელს იოკოჰამაში მოეწყო გაეროს კონფერენცია კატასტროფების შესამცირებლად. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო კაიროს კონფერენცია მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე (1994 წ.). გაიმართება მსოფლიო სამიტი სოციალურ განვითარებაზე და მსოფლიო ქალთა კონფერენცია (1995 წ.), ადამიანთა დასახლებების მეორე კონფერენცია (1996 წელს) სტამბულში.

გენერალური მდივანი კონფერენციების ამ სერიას მიიჩნევს ცნობიერების დონის ამაღლებისა და ნორმების და სტანდარტების დასახვის უნიკალურ საშუალებად. ამ კონფერენციებსა და სამიტებზე წევრი სახელმწიფოები და არასამთავრობო ორგანიზაციები, დაინტერესებული პირები ერთობლივად მუშაობენ განვითარების ყველა ასპექტისადმი გლობალური მიდგომის შესაქმნელად.

1995 წელს გაეროს 50 წლის იუბილესათვის გლობალურ კონფერენციათა ამ სერიის შედეგად მიღებულ იქნება განვითარების გაფართოებული კონცეფცია.

გენერალურმა მდივანმა თავისი შეხედულება მსოფლიოს განვითარებაზე ჩამოაყალიბა როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის საფუძველზე აგებული პროცესი, რომელიც შეხამებულია რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და გარემოსადმი ფაქიზ დამოკიდებულებასთან.

ადამიანის უფლებებისადმი საყოველთაო პატივისცემა არის განვითარების შემადგენელი ნაწილი, — გამოაცხადა მან. ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის, ისეთი ჯგუფებისა, როგორიც არის აბორიგენი ხალხები, ქალები, ბავშვები და ინვალიდები, მოიქცა გენერალური მდივნის ყურადღების ცენტრში. გაერო გამოეხმაურა 40-მდე ერის თხოვნას დემოკრატიული არჩევნების ორგანიზაციასა და მეთვალყურეობაში.

ფინანსური კრიზისი, რომელსაც ორგანიზაცია განიცდის, რეგულარულ ბიუჯეტში და სამშვიდობო ოპერაციებისათვის დაწესებული შენატანების არასრულად და დაგვიანებით გადახდის გამო, საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის ეფექტიან მოქმედებას. გენერალურმა მდივანმა რამდენჯერმე მოითხოვა საკითხის შესწავლა გაეროსათვის ადეკვატური ფინანსური საფუძვლის უზრუნველყოფის მიზნით. მან წამოიწყო რეფორმისა და რესტრუქტურიზაციის პროგრამა სამდივნოში მაღალი თანამდებობებისა და სამინეჯერო ხარჯების შესამცირებლად, გადაწყვეტილებათა მიღების დეცენტრალიზაციისათვის.

ბუტროს-ბუტროს გალიმ იმოგზაურა 50-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც წარმოადგენდა გაეროს და სთავაზობდა თავის სამსახურს მშვიდობის განმტკიცებისათვის. 1993 წლის დეკემბერში კი გახდა პირველი არაკორეელი, რომელმაც გადაკვეთა დემილიტარიზებული ზონა კორეაში.

გაეროს გენერალურ მდივანს გულთბილად მიესალმება საქართველოს მოსახლეობა და წარმატებულ ვიზიტს უსურვებს ჩვენს ქვეყანაში.



გაერთიანებული ერების კონფერენცია ინტერნაციონალური ორგანიზაციის შეხვედრაზე სან-ფრანცისკოში, 1945 წ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საჭიროა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ყველასათვის გაკვეთილი უნდა იყოს

კონფლიქტურმა სიტუაციებმა, რომლებიც უკანასკნელ ხანს წარმოიშვა საქართველოს დედაქალაქში მოქმედი მთელი რიგი კომერციული ბანკებისა და სატრასტო კომპანიების გაკოტრებასთან დაკავშირებით, მკვეთრად გაამწვავეს სოციალური დაძაბულობა და, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, მოშალეს მთელი ქალაქის ცხოვრება. ადამიანები შეშფოთებული არიან. ათასობით მოტყუებული მეანაბრე სამართლიანობის საძებნელად მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმებს, ცდილობს როგორმე იპოვოს სამართალი ამ ბანკებისა და კომპანიების გაქცეული პრეზიდენტებისა და გენერალური დირექტორების მოსათოკად, დაიბრუნოს საკუთარი დოლარები, რუბლები. თაღლითთა და ვაიბანკირთა, ვაი-მეწარმეთა ანკესს წამოგებული გულუბრყვილო ადამიანები ახლა ხელისუფალთ მიმართავენ, ბრალს სდებენ ყველას... არადა, ეს ხომ მათი სამართლებრივი უწიგნურობის, არაშორსმჭვრეტელობის გამო მოხდა. მართალია, ხელისუფალნი არ იცილებენ საკუთარ პასუხისმგებლობას მომხდარისათვის. ამის დადასტურება გახდა 26 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით გამართული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომა. რომელშიც მონაწილეობდა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

მოსახლეობის თავისუფალი სავალუტო სახსრების სამეწარმეო სტრუქტურების მიერ მოზიდვის შესახებ საკითხის განხილვით დაიწყო კიდეც ეს სხდომა, რომლის დროს გაირკვა აქ არსებული ყველა დარღვევის, დაგროვილი პრობლემის პრაქტიკულად მთელი კომპლექსი. თუმცა, ყველა ეს პრობლემა, მათი მოწესრიგების კონკრეტული გზები ზუსტად იყო მონიშნული სახელმწიფოს მეთაურის მიმდინარე წლის 12 აგვისტოს ბრძანებულებაშიც, შემდეგ კი მისი 15 ოქტომბრის განკარგულებაში, რომლის თანახმად შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია, მაგრამ, როგორც უკვე 25 ოქტომბერს გამოცემულ სახელმწიფოს მეთაურის კიდევ ერთ განკარგულებაში იყო აღნიშნული, მინისტრთა კაბინეტმა და ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყვეს მთავარი მოთხოვნის შესრულება — ვერ აღკვეთეს იმ ბანკებისა და კომპანიების საქმიანობა, რომლებიც შესაბამისი ლიცენზიის გარეშე როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან იღებდნენ და აბანდებდნენ ვალუტას. სათანადო პასუხისმგებლობა ვერ გამოიჩინეს ნეგატიური პროცესების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში ვერც სამართალდამცველმა, საკონტროლო ორგანოებმა, ქალაქის მთელმა რიგმა გამგეობებმა.

როგორც მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსის ნოდარ წკრიალაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მოწმობს, ათი გაკოტრებული ბანკიდან და კომპანიიდან, რომელთა მუშაობას ამჟამად სწავლობს მთავრობის კომისია, არც ერთს არ აღმოაჩნდა ეროვნული ბანკის ლიცენზია, რომელიც მისცემდა ფინანსურ ოპერაციათა წარმოების უფლებას. სხვათა შორის, მანვე თქვა, რომ ესოდენ ფართოდ რეკლამირებული კომპანია „ოქროს თასის" საწესდებო კაპიტალი, მაგალითად, რომელიც ამა წლის 24 მარტს გაატარა რეგისტრაციაში მთაწმინდის რაიონულმა გამგეობამ, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სულ მილიონ კუპონს შეადგენდა, და მაინც, შედარებით მოკლე დროში ამ კომპანიამ, წინასწარი მონაცემებით, მიიზიდა 3,5 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი. მას არც ერთი კომერციული ოპერაცია არ განუხორციელებია. „ოქროს თასთან" დაკავშირებულ ამბავში შეშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ამ ფირმაში საქმის ვითარების შესახებ საგანგაშო სიგნალები წინათაც მოდიოდა, მაგრამ შესაბამისმა ინსტანციებმა არავითარი რეაგირება არ მოახდინეს. რაც შეეხება ამჟამად ძებნილი კომპანიის პრეზიდენტის გია მგალობლიშვილის პიროვნებას, როგორც გაირკვა, ჯერ კიდევ 1989 წელს, როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მეხანძრედ მუშაობდა, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული დატაცებისათვის და სასამართლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამასთან, მას განაჩენი აპრილში ჰქონდა გამოტანილი, მაგრამ უკვე იმავე წლის მაისში იგი გაათავისუფლეს. როგორც იტყვიან, აქ კომენტარები ზედმეტია. როგორც ნოდარ წკრიალაშვილმა თქვა, სადღეისოდ სამართალდამცველმა ორგანოებმა დააკავეს ამ კომპანიის ორი თანამშრომელი — ერთი მისი დამფუძნებელი და მთავარი ბუღალტერი. მიმდინარეობს გამოძიება, რომლის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ უხეშად არის დარღვეული საბანკო საქმიანობის ელემენტარული ნორმები. ანალოგიურ დარღვევებს ავლენს შემოწმება სხვა სახელგატეხილ ბანკებსა და სატრასტო კომპანიებში. ამიტომ მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში მოიწვიოს სპეციალური გაფართოებული სხდომა, რათა საფუძვლიანად, კომპლექსურად განიხილოს მოსახლეობის თავისუფალი სახსრების მიზიდვასთან და ბრუნვასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი. გამოამზეუროს ყველაფერი და კანონის მთელი სიმკაცრით პასუხი აგებინოს დამნაშავეებს, რიგითი შემსრულებლები იქნებიან თუ ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელები, განსაზღვროს მომავალში ამ საქმეში ყოველგვარი დარღვევის აღკვეთის რადიკალური ღონისძიებანი.

სწორედ ასეთი უაღრესად საჭირო, ამასთან, მომხდარის მიზეზთა საჯარო განხილვა იმითაც არის ნაკარნახევი, რომ გაკოტრებული ბანკებისა და კომპანიების მეანაბრეთა გარკვეულ ნაწილში ჯიუტად ავრცელებენ აზრს, თითქოს ყოველივე ეს თავად სახელმწიფოს დაეგეგმოს მარცვლეულის შესასყიდად ვალუტის მიღების მიზნით. ეს კი უკვე სოციალურ-პოლიტიკური პროვოკაციის ხასიათს იძენს, რაც, ბუნებრივია, შესაბამის რეაგირებას მოითხოვს, რათა მოსახლეობამ მთელი სიმართლე გაიგოს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, პასუხი უნდა გაეცეს ყველა კითხვას და ამავე დროს, საჭიროა გადაწყვეტილებანი, რომლებიც გახდება გაკვეთილი ყველასი და თითოეულისათვის. ამასთან დაკავშირებით, კონკრეტული დავალებანი მიეცათ სამართალდამცველი და მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, ყველას, ვისზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, ჯეროვანი წესრიგის დამყარება როგორც სახელმწიფო, ისე სამეწარმეო სტრუქტურებში, მთლიანად ქვეყანაში.

პრინციპული და მომკითხველი იყო სჯა-ბაასი სხდომაზე იმ საკითხის განხილვის დროსაც, თუ როგორ არის დაცული ქალაქ თბილისში ელექტროენერგიის მოხმარების დადგენილი ლიმიტი და როგორ იფარება მისთვის დებიტორული დავალიანება, კერძოდ, შეშფოთებით აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ენერგოშემცველების უმწვავესი დეფიციტის მიუხედავად, დედაქალაქში დღემდე ვერ ხერხდება ელექტროენერგიის მიწოდების, მისი ეკონომიური და ყაირათიანი ხარჯვის გრაფიკის მკაცრი დაცვა. ბოლო 24 დღის განმავლობაში არარეგულარული გამორთვების გამო ქალაქში ელექტროენერგიის გადამეტხარჯვამ, რომელიც ძირითადად მოსახლეობაზე მოდის, 15 მილიონ კილოვატსაათს გადააჭარბა. არც დებიტორული დავალიანება კლებულობს. ამასთან დაკავშირებით მიღებულია გადაწყვეტილება ათი დღის განმავლობაში ყოველმხრივ შეისწავლონ „საქენერგოს" დეპარტამენტის მუშაობა და განიხილონ მისი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი მინისტრთა კაბინეტის უახლოეს სხდომაზე.

საფუძვლიანი სჯა-ბაასის საგანი გახდა საკითხი იმის შესახებაც, თუ როგორ მიმდინარეობს თურქეთის მიერ ჯერ კიდევ შარშან საქართველოსათვის გამოყოფილი 50 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტის ათვისება, რომლის ხარჯზეც, როგორც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ იოსებ ბაჩიაშვილმა თქვა, ფინანსდება ათი დამტკიცებული პროექტი. მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის კომისიის შემადგენლობა. განიხილა რესპუბლიკის ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე.

მერვე სვეტი

ნიკოლოზ დიკო კონფლიქტის ზონაში

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა საქინფორმს აცნობა, რომ 27 ოქტომბერს ზუგდიდში ჩამოვიდა ჰუმანიტარული ინიციატივის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი, სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო კომისიისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო მუდმივმოქმედი მისიის კოორდინატორი, პროფესორი ნიკოლოზ დიკო. მას ახლდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალა იაშკოვა და მოსკოვში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლიონელ დადიანი.

მისიის მიზანია ადგილზე გაეცნოს სიტუაციას. ლტოლვილთა დაბრუნების მომზადების საკითხებს, ეწვიოს კონფლიქტის ზონას, შეისწავლოს ადამიანთა უფლებების დაცვის მდგომარეობა, აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში დააფიქსიროს ეს ფაქტები.

ბატონი ნიკოლოზ დიკო და მისი თანმხლები პირები ზუგდიდში შეხვდნენ ადგილობრივ ხელმძღვანელობას და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულს, სახელმწიფო მინისტრს ვივი ლომინაძეს.

28 ოქტომბერს სახალხო დიპლომატიისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები გაემგზავრნენ გალისა და გულრიფშის რაიონებში, რათა ადგილზე შეისწავლონ სიტუაცია. ისინი სოხუმში შეხვდებიან აქ განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობას. შემდეგ ბატონი დიკო და მისი თანმხლები პირები რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან ერთად ეწვევიან დალის ხეობას და სოფელ აჟარას, რათა გაეცნონ აქ შექმნილ ვითარებას. ნ. დიკო და თანმხლები პირები აპირებენ ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებების გაზიარებას საქართველოსა და რუსეთის საზოგადოებრიობისათვის. მოსალოდნელია, რომ ისინი უახლოეს დღეებში ჩამოვლენ თბილისში და გამართავენ პრესკონფერენციას.

ამერიკელი ენერგეტიკოსები — ქართველ კოლეგებს

26 ოქტომბერს დეპარტამენტ „საქენერგოს" ეწვია მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი ქალბატონი მიშელ რიბუ. იგი შეხვდა დეპარტამენტის თავმჯდომარეს იური ქედიას, რომელმაც სტუმარს საქართველოს ენერგეტიკის მდგომარეობა გააცნო.

იმავე დღეს „საქენერგოში" ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქენერგოსა" და ამერიკის ორ ენერგოასოციაციას „თი-ვი-ეისა" და „ჯორჯია ფაუერ კომპანის" შორის. ეს ორგანიზაციები ამერიკული საერთაშორისო ენერგოკომპანია „იუ-ეს-ი-ეის" წევრები არიან. ისინი ჩვენთან განახორციელებენ ენერგეტიკული ინდუსტრიის პარტნიორობის პროგრამას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო „იუ-ეს-ეი-აი-დი" დააფინანსებს. პროგრამა ითვალისწინებს ორი ქვეყნის ენერგეტიკოსთა შორის ინფორმაციის, გამოცდილებისა და სპეციალისტების გაცვლას, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას. ამერიკის ენერგეტიკული ასოციაცია უახლოეს მომავალში გამოყოფს თანხას, რაც საქართველოს ენერგოსისტემის ტექნიკური მდგომარეობის გამოსწორებას მოხმარდება.

ამ დახმარებას უკვე დიდი ხანია ელიან ქართველი ენერგეტიკოსები. ჩვენთვის გამოყოფილი თანხა, რა თქმა უნდა, ვერ მოხსნის ენერგეტიკაში არსებულ პრობლემებს, მაგრამ დღევანდელ კრიზისს ოდნავ მაინც შეამსუბუქებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა საერთო საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეა. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცოცხალ ორგანიზმებზე, წყალზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, მთლიანად სიცოცხლის ბალანსზე (აგრო თუ ბუნებრივ ეკოსისტემებში) მცენარეთა დაცვის საშუალებების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება, აგრეთვე მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით.

მუხლი 2. კანონის მიზანი

1. მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის კანონის მიზანია: კულტურულ მცენარეთა, სათიბსაძოვრებისა და ტყეების მავნე ორგანიზმებისაგან (მავნებლები, დაავადებანი, სარეველები) დაცვა;

ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ფაუნისა და ფლორისათვის, საერთოდ ბიოსფეროსათვის მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების არასასურველი შედეგების თავიდან აცილება;

მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტების დაცვის ღონისძიებათა სამართლებრივი საფუძვლის უზრუნველყოფა;

მცენარეთა დაცვის სფეროში საერთაშორისო და რესპუბლიკური სამართლებრივი აქტების განხორციელების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. მცენარეთა დაცვის სამსახური

1. საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა დაცვის სამუშაოებს ორგანიზაციას და კონტროლს უწევს მცენარეთა დაცვის სამსახური. იგი მოიცავს მცენარეთა დაცვის რესპუბლიკური, ავტონომიურ-რესპუბლიკური, რაიონული და სახელმწიფო კარანტინის სამსახურებს.

2. მცენარეთა დაცვის სამსახური უზრუნველყოფს:

მცენარეთა დაცვის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების შესრულების კონტროლს;

მცენარეთა დაცვის რესპუბლიკური კონცეფციის, პერსპექტიული პროგრამების და პროგნოზების დამუშავების კოორდინაციას;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (განურჩევლად საკუთრებისა და სარგებლობის ფორმისა) ფიტოსანიტარულ დიაგნოსტიკას, მავნე ორგანიზმების გავრცელების პროგნოზირებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების კონტროლს;

საერთაშორისო ორგანიზაციებთან მცენარეთა დაცვის სამსახურის თანამშრომლობას;

მეცნიერების მიღწევებისა და პროგრესული ტექნოლოგიების პროპაგანდას, მცენარეთა დაცვის საშუალებებზე საორიენტაციო მოთხოვნილებების განსაზღვრას.

3. მცენარეთა დაცვის კანონის შესაბამის ღონისძიებებს რაიონებში ახორციელებენ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამსახურები, რომლებიც უფლებამოსილი არიან:

მოითხოვონ და უზრუნველყონ, რომ ყველა მიწათმესაკუთრე და მიწათმოსარგებლე ასრულებდეს მცენარეთა დაცვის კანონით გათვალისწინებულ დებულებებს;

შეატყობინონ ყველა მიწათმესაკუთრესა და მიწათმოსარგებლეს მავნე ორგანიზმების გამოჩენის, გამრავლების და განვითარების ვადები, მიუთითონ, თუ როგორ გამოიყენონ მათ წინააღმდეგ ეკოლოგიურად გამართლებული მეთოდები და საშუალებები, ამასთან დაიცვან მავნეობის ეკონომიკური ზღვრები და „ლოდინის პერიოდი";

კონტროლი დაუწესონ ნიადაგის, სათბურების, საცავების, საწყობების დეზინფექციას, დეზინსექციას, დერატიზაციას და სხვა რეკომენდებული ტექნოლოგიური ღონისძიებების დაცვას.

მუხლი 4. საკარანტინო სამსახური

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს მცენარეთა საგარეო და საშინაო კარანტინის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომლის დანიშნულებაა აღკვეთოს რესპუბლიკაში მცენარეთა მავნე ორგანიზმების შემოტანა და გავრცელება.

2. მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახური:

კონტროლს უწევს მცენარეული და სხვა პროდუქციის წარმოების, დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების საკარანტინო წესების დაცვას;

დროულად გამოავლენს, ზღუდავს და სპობს მცენარეთა საკარანტინო მავნებელ-დაავადებებს და სარეველებს, აღკვეთავს მათ გავრცელებას რეგიონებში;

უზრუნველყოფს, რომ ყველა საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია (მიუხედავად მათი საკუთრებისა და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა), აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც დაკავშირებული არიან მცენარეული პროდუქციის წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და რეალიზაციასთან, ახორციელებდნენ მცენარეთა დაცვის საკარანტინო ღონისძიებებს.

მუხლი 5. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოცდა და რეგისტრაცია

1. რეგისტრაციას ექვემდებარება საქართველოში და საზღვარგარეთ წარმოებული პესტიციდების მხოლოდ ის პრეპარატული ფორმები და ბიოლოგიური საშუალებები, რომლებიც სახელმწიფო გამოცდის პროცესში ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენურად და ეკოლოგიურად დადებითად შეფასდა და დიდი ბიოლოგიური ეფექტურობა გამოავლინა.

2. მცენარეთა დაცვის საშუალებების სახელმწიფო გამოცდის მიზანია მათი ეფექტურობის, ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ბუნებისთვის საფრთხის ხარისხის დადგენა.

3. რეგისტრირებული პრეპარატების, მცენარეთა ზრდის რეგულატორების ნუსხის, მათი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების, ხმარების რეგლამენტის და გამოსაყენებლად რეკომენდებული ტექნიკური საშუალებების (მანქანების) სიის გამოქვეყნება ხდება პერიოდულად შესაბამისი უწყების მიერ.

რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ პრეპარატები და ზრდის რეგულატორები გამოავლენენ ახალ თვისებებს, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

მუხლი 6. მცენარეთა დაცვის საშუალებათა ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური შეფასება

1. გამოსაყენებლად რეკომენდებული მცენარეთა დაცვის საშუალებები ექვემდებარება ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენურ შეფასებას. მათი გამოყენებისას ითვალისწინებენ ტოქსიკურ ნივთიერებათა რეალურ რაოდენობას.

2. მცენარეთა დაცვის საშუალებების ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური შეფასება ტარდება სასურსათო და ცხოველთა საკვებ პროდუქტებში, აგრეთვე, ბუნებაში ტოქსიკურ ნივთიერებათა შემცველობის დასაშვები დოზის დადგენის, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე არასასურველი შედეგების გამორიცხვის მიზნით.

მუხლი 7. მცენარეთა დაცვის საშუალებათა გამოყენება

1. მცენარეთა დაცვის საშუალებები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ისინი რეგისტრირებული აქვს შესაბამის უწყებას ნებადართული პრეპარატების სიაში.

2. რეგისტრაციაში გატარებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შემოტანა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უწყების ნებართვით, მეცნიერული კვლევისათვის.

3. მცენარეთა დაცვის საშუალებანი, რომლებიც რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოებისათვის არაკომერციული მიზნით, აგრეთვე, სახელმწიფო გამოცდისათვის შემოდის, თავისუფლდება საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებელისაგან.

მუხლი 8. მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება, შენახვა და ტრანსპორტირება

1. მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება დასაშვებია მხოლოდ იმ ქიმიურ და ბიოლოგიურ შენაერთებსა და პრეპარატულ ფორმებზე, რომლებზეც დამტკიცებულია შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია.

2. მცენარეთა დაცვის საშუალებების შენახვა შეიძლება შესაბამისი უწყების მიერ გაცემული პასპორტის მქონე სათავსებში, სანიტარიული მოთხოვნებისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისამებრ.

3. მცენარეთა დაცვის საშუალებათა ტრანსპორტირება შეიძლება მხოლოდ იმ სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით და ტარით, რომლებიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 9. მიწათმოსარგებლეთა ვალდებულება მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას

1. პესტიციდების გამოყენებისას მიწათმოსარგებლეები ვალდებული არიან:

წინასწარ გააფრთხილონ ადგილობრივი მოსახლეობა და აცნობონ შესაბამის სამსახურებს მცენარეთა დამუშავების ვადა და ადგილი;

მკაცრად დაიცვან პესტიციდების გამოყენების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ნორმები, რეგლამენტი და ტექნოლოგია;

განახორციელონ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკით დადგენილი მოთხოვნები, პესტიციდების ხარჯვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის მკაცრი აღრიცხვა.

მუხლი 10. აკრძალვები მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია მცენარეთა დაცვის საშუალებათა (შხამ-ქიმიკატების) გამოყენება წყალშემკრებ, წყალსაცავ, დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სათავე ნაგებობებისა და კანონით დადგენილ სხვა განსაკუთრებით საგანგებო ზონებში;

დასაშვებ ნორმაზე მეტი პესტიციდების ნარჩენების შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენება და მისი იმპორტი;

რეგისტრაციაში გაუტარებელი მცენარეთა დაცვის საშუალებების შემოტანა და გამოყენება;

დაავადებული და დაუმუშავებელი თესლის, ნერგების და მცენარეების დაცვის ვადაგასული საშუალებების გამოყენება;

რეგისტრაციაში გაუტარებელი მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება და ტრანსპორტირება;

იმ ტექნიკური საშუალებების (მანქანების) გამოყენება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არ არის აღჭურვილი მუშაობის ხარისხის განმსაზღვრელი საკონტროლო საშუალებებით.

მუხლი 11. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების კონტროლი

1. საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა დაცვის საერთო მდგომარეობას კონტროლს უწევს მცენარეთა დაცვის სამსახური.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" კანონის დარღვევისათვის

1. „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

1. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

მუხლი 14. კანონში მოცემულ ტერმინთა განმარტებანი

პესტიციდები — მცენარეთა დაცვის საშუალებები, რომლებიც წარმოშობით შეიძლება იყოს ქიმიური, ბიოლოგიური და მცენარეული.

„ლოდინის პერიოდი" — დღეებით გამოხატული დრო პესტიციდით უკანასკნელი დამუშავებიდან მოსავლის აღებამდე.

მავნეობის ეკონომიკური ზღვარი — მავნე ორგანიზმების გავრცელების ინტენსიურობა ან მცენარეთა დაზიანების ხარისხი, როდესაც მცენარეთა დაცვის ღონისძიება ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებულია.

დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია — საცავებში, საწყობებში, სათბურებში შესაბამისად დაავადებების, მავნებლების და მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური — პარლამენტის თავმჯდომარე

ედუარდ შევარდნაძე,

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი,

1994 წლის 12 ოქტომბერი.

მომავლისაკენ

არის თუ არა დაძაბულობა ფოთში?

ბოლო წლებში არქიტექტურა და მშენებლობა ისე მჭიდროდ დაუკავშირდა შოთა ყავლაშვილის სახელს, რომ მას მკითხველისათვის წარდგენა აღარც სჭირდება. მხოლოდ ერთს ვიტყვით: წლების მანძილზე თბილისის მთავარი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი თითქმის უკვე ორი წელიწადია ფოთის მთავარი არქიტექტორია.

უფრო დიდი ხნის წინათ კი ფოთს, როგორც დანარჩენ პერიფერიას, ტოვებდა თითქმის ყველა, ოდნავ მაინც ნიჭიერი კაცი. ასე იყრიდა თავს მთელი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი დედაქალაქში, რესპუბლიკის ქალაქები კი მახლობელი სოფლებიდან ივსებოდა — ქალაქი თბილისს ეძალებოდა, სოფელი — ქალაქებს და ასე მიდიოდა მიგრაციის ყველასათვის კარგად ნაცნობი და ვერაფრით სახარბიელო პროცესი.

მაგალითი სამაგალითოდ უნდა მისცეს. ბოლო წლების მანძილზე ბევრმა „ცნობილმა გვარმა" იბრუნა ფოთისკენ პირი. დღეს ამ ქალაქის ერთ-ერთი ვიცე-მერი გახლავთ აკადემიკოსი შოთა ყავლაშვილი, ცოტა ხნის წინათ ასეთივე პოსტი ეკავა ამჟამინდელ ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობს დედაქალაქიდან ჩასული არაერთი ადამიანი. თუმცა დედაქალაქში არც ამ ნაბიჯს აღიქვამენ ერთგვაროვნად. არსებობს შავი ეჭვიც: ფოთში ყველას ის უნდა, „ნავსადგური მოწველოს"!, მაგრამ ეს მარტო ფოთელებს და ფოთში წასულთ როდი ეხებათ. ანალოგიური სურვილი ცენტრში დარჩენილთაც არანაკლებ (თუ უფრო მეტადაც არა) სწვავთ, და კიდევ: თუ მაინც ნავსადგურის „მოწველაზეა" საუბარი, საკითხავია, ვინ უკეთ და სად უფრო უკეთ ახერხებენ ამას — ფოთში თუ თბილისში?

ფოთის ნავსადგური რესპუბლიკური მნიშვნელობისაა, რაც ასეც შეიძლება გაიშიფროს, ფოთში რომ ნავსადგურია, ის რესპუბლიკისაა, ვისია თავად ფოთი?

— რაც უნდა ეძახონ დღევანდელ ფოთს ძველი ფაზისი, ის მაინც ახალი ქალაქია და იმ საუკუნის დამლევს და ამ საუკუნის დამდეგს გაშენდა, მაშინ, როცა მოხდა ნავსადგურის რეკონსტრუქცია და ნიკო ნიკოლაძემ ნავსადგურის ირგვლივ მისივე ინფრასტრუქტურა განავითარა. ამას მქვია ფოთი. ფოთი ნავსადგური იყო, ნავსადგური — ფოთი. ეს გახლავთ ერთი მთელი და ვითარდებოდა როგორც ერთი ორგანიზმი, — ამას ქალაქის მერი რომან მელია ამბობს.

მაშინ ნავსადგური მუნიციპალური იყო. ეს ნიკო ნიკოლაძის დროს.

ამ ცოტა ხნის წინათ ხმა გავარდა — ნავსადგურის უფროსი ვალერი გიგიძე დაჭირესო. ცოტა უფრო გვიან: ქალაქის მერი რომან მელია დაიჭირესო. განგაშის ზარები თბილისში ჩამოჰკრავს ხოლმე. საბედნიეროდ, ორივე ჭორი აღმოჩნდა, მაგრამ, არა უცეცხლოდ. ჩანს, ცეცხლი მართლაც ანთია, დაძაბულობაა ფოთში. უფრო მამაცი რომ ვიყო, ალბათ იმასაც ვიტყოდი, რომ დაძაბულობაა თბილისსა და ფოთს შორის, ჩუმი, მაგრამ დაძაბული ურთიერთობა. განხეთქილების ვაშლი კი ისევ და ისევ ნავსადგურია, რომელიც...

ვისია, ვისია?..

ისევ ისტორიული ექსკურსი: როცა საქართველოში დამყარდა კომუნისტური რეჟიმი, ნავსადგური ქალაქს ჩამოსცილდა და მას პირდაპირ მოსკოვიდან მართავდნენ. ასე გრძელდებოდა 70 წელიწადს, რისი შედეგიც დღეს სახეზეა: გვაქვს განვითარებული ნავსადგური და განუვითარებელი მისი ინფრასტრუქტურა — ქალაქი ფოთი, დღეს ნავსადგური მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტი გახლავთ და, ცხადია, ცხოველი ინტერესით სარგებლობს, მაშინ, როცა ფოთი არის რაღაც მედიუმი სოფელსა და ქალაქს შორის...

ესეც კომუნისტური რეჟიმის შედეგია.

ახლა?

როგორ განვითარდეს მომავალში შუაზე გახლეჩილი მთელი, ნავსადგური და მისი ინფრასტრუქტურა — ქალაქი ფოთი? როგორც ერთიანი ორგანიზმი, როგორც ეს ნიკო ნიკოლაძის დროს იყო, თუ, ცალ-ცალკე, როგორც ეს კომუნისტური მმართველობისას ხდებოდა?

ობიექტური რეალობა ის არის, რომ ნავსადგურს რეკონსტრუქცია სჭირდება, რომ შეძლოს ფუნქციონირება (ბოლოს და ბოლოს, იმიტომ მაინც, რომ „მორჩენილი რძე", როგორც ახალშობილს, ისე სჭირდება მთელ საქართველოს), რეკონსტრუქციას კი სჭირდება ფული, ფული, რომელიც არ არის...

ცენტრის პოზიცია ასეთია: უნდა მოვიპოვოთ მინიმალური სახსრები მაინც, მოვიზიდოთ ინვესტიციები, რომ შევძლოთ ნავსადგურის რეკონსტრუქცია, შემდგომ კი, უკვე შემოსული თანხებიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც ვიზრუნებთ.

ქალაქზე, ნავსადგურზე და შოთა ყავლაშვილზე

ბატონი შოთა ყავლაშვილი ეთანხმება ცენტრის გადაწყვეტილების პირველ ნაწილს, რომ უცხოელი ინვესტორების გარეშე ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის საკითხი ვერ გადაწყდება, მაგრამ არ იზიარებს ცენტრის პოზიციას: ჯერ განვითარდეს ნავსადგური, შემდგომ — ქალაქი.

ქალაქის მთავარი არქიტექტორი შორს არის მშენებლობის საკითხებში ილუზიური წარმოდგენებისაგან და არც უცხოურ ინვესტიციებზე აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა. მან კარგად იცის, რომ არც ერთი უცხოელი ინვესტორი არ დააბანდებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, საიდანაც მას მოგება არ ექნება, მაგრამ ისიც იცის, რომ უცხოელი თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობს (და ეს ბუნებრივია, — მისია ფული). ჩვენ? ჩვენ კი ვთავაზობთ გამოსავალს ჩვენივე ინტერესების გათვალისწინებით: გამოვაცხადოთ ქალაქი-ნავსადგური. ეს მარტო ფანდი არ არის ქალაქის სასარგებლოდ, ეს ნავსადგურის რეალობაა და აი, რატომ: თავისი მუშაობის ყველაზე გამართულ ეტაპზე ნავსადგური წლის განმავლობაში 5 მილიონამდე ტონა ტვირთს გადაამუშავებდა. ისიც ცნობილია, თუ რა სირთულეებთან იყო ეს დაკავშირებული. ამ დატვირთვას გაჭირვებით უძლებდა ნავსადგურის მაშინდელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ამჟამად კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია — გადატანილმა ომებმა და ბოლოდროინდელმა მოვლენებმა თავისი დაღი დაასვა ქალაქს. ნავსადგურს რეკონსტრუქციის შემდგომ კი მოუწევს გადაამუშაოს 12 მილიონამდე ტონა ტვირთი.

— ასეთი პროექტი უკვე მზად არის, ცოტა ხნის წინათ განვი ლეთ, უფრო სწორად, საინფორმ ციო ხასიათის შეხვედრა (არქ ქტის განხილვა უახლოესი მომ ლის საქმეა) მოვაწყეთ, მაგ უკვე გამოიკვეთა ხარვეზები, რძოდ, გადასაწყვეტია სამხედ ნავსადგურის საკითხი — თუ არ გადაეცემა ფოთის ნავსადგურ მაშინ ყველა, დღემდე შემუშა ბული ტექნიკური აღჭურვილო რბილად რომ ვთქვათ, გადას თებელი იქნება და საქმეც თავი დან დასაწყები გახდება.

რაც შეეხება თავად ქა ფოთის განვითარების გენერა გეგმას: მისი შემუშავება სა ხანია მიმდინარეობს, თუმცა, ტომლაც ვერ დასრულდა. როგორც სპეციალისტი, ვფიქრ ქალაქის განვითარების გენერა რი გეგმა წინ უნდა უსწრებდ ნავსადგურის რეკონსტრუქცი გეგმას, ძირითადი საკითხები თანხმებული უნდა იყოს, ორ პროექტს კომპლექსური განხი სჭირდება. მოხდა კი პირიქით, ასე ფიქრობს ქალაქის არქიტ ტორი და უნებლიედ კონფრ ტაციის მიზეზიც იკვეთება — და მარების პრიმატი — თავდაპირ ლად. ყველაფერი ასე განისაზღვრ ბა: უნდა ჩამოყალიბებულ მშენებლობის ერთი დირექცი ნავსადგურთან თუ მერიას ამას პრინციპული მნიშვნელ არ ჰქონდა, მთავარი იყო ერ ორგანიზმის, ქალაქი-ნავსადგ რის განვითარებისათვის არსებ ლიყო ერთი დამკვეთი. ასეთ საქმეს, ბუნებრივია, სჭირდებ სპეციალისტები, ანუ ისეთი ტენციალი, რომელიც ფოთში არსებობდა. ისევ მოინახა გა სავალი — დედაქალაქიდან მი ვიეს სპეციალისტები, დამპრო ტებლები, წინადადება მის ქალბატონ ბელა გაბუნიას მთელ ჯგუფს, რომელიც ფოთ განვითარების გენერალურ გეგ ამუშავებენ თბილისში, თავად ფო თში გადასულიყვნენ სამუშ და საცხოვრებლად. თითქოს თანხმებაც მიიღეს, მაგრამ ლება საკითხისადმი ძირეულ გომაში მოხდა, ნავსადგურის კონსტრუქციის და ქალაქის ვითარების პროექტები სხვადასხ ხელში მოექცა და სხვადასხ გზასაც დაადგნენ, — ამას ქალაქის მერი ამბობს.

ისევ მიზეზზე: ნავსადგუ რი არის დამოუკიდებელი რეს ბლიკა ქალაქში. ქალაქი ვალ ბულია მოემსახუროს მას და ნაცვლოდ დღეს არაფერი, მე... როცა ნავსადგური ლონივრად გაიმართება — მა

ქალაქი კი აბსტრაქცია არის, ეს გახლავთ სატრანსპ ტო კვანძი თავისი საზღვაო, მელეთო, სარკინიგზო, საჰაე ტრანსპორტით, რომელთა ამჟ ნდელი მდგომარეობის მიხედ თუ ვიმსჯელებთ, იმის მიუხ ვადაც, ვალდებულია თუ არა, ლაქი ვერ მოემსახურება ნავს გურს, — ეს ისევ ქალაქის არ ტექტორი, შოთა ყავლაშვილი ხლავთ.

ისევ მიზეზები: დაძაბულ დღეს ფოთში? არის. იქნებ ტომაც, რომ სრულიად მარ რამ დავივიწყეთ — ნავსადგ ფოთშია, ეს არის ამ ქალაქის მდიდრე, ღვთისგან ბოძებ ცხადია, ერთი ქალაქისთვის ზე მეტად გულუხვი, მაგრამ ინც ამ ადგილის საჩუქარი, თი უწილადებს მას მთელ სა თველოს, მაგრამ მთლიანს, ალ ვერა.

დაძაბულობა კი შესაძლოა თ ალტერნატივაში ძევს: ფოთი ნავსადგური? და კიდევ იმ კითხვაში: ვინ „მოწველის ნა დგურს?"

ირინე ჩომახ

რადიკალური რეფორმები ცეკავშირში— კოოპერაციის ახლებური სუნთქვა

როგორც მოქალაქეს, პიროვნებას, ამავე დროს, როგორც ეკონომისტს, ძალზე მაწუხებს ის ვოლუნტარიზმი, რომელსაც არც ისე იშვიათად მიმართავენ ხოლმე კანონმდებელნი რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ეს კანონები, პირველ რიგში, უნდა გვეხმარებოდნენ მეურნეობრივი ურთიერთობების სრულყოფასა და დახვეწაში, რაც, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ვერ ხორციელდება. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ კანონშემოქმედების პროცესში, მათ ექსპერტიზაში, მიღებასა და განხორციელებაში, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა პროფესიონალმა ეკონომისტებმა სამართლის სპეციალისტებსა და სხვებთან ერთად.

დაუშვებელია, როცა პოლიტიკა (კონკრეტულ სიტუაციაში) უგულებელყოფს ეკონომიკის განვითარების ობიექტურ კანონებს, რომლებიც ამ შემთხვევაში პოლიტიკური დეკლარაციის ხასიათს ატარებს. ასეთი კანონი ბევრი შეგვიძლია დავასახელოთ, რომელთა პირობებშიც სასურველს ვქადაგებთ, როგორც კანონზომიერს, მაგრამ ეროვნულ მეურნეობაში უკეთესობის შედეგი არ ჩანს.

ჩემი ღრმა რწმენით, დღევანდელ ეტაპზე რესპუბლიკის ეკონომიკის და მთლიანად ეროვნული მეურნეობის გაჯანსაღებისათვის უპირველეს ამოცანად უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარების კონცეფციის საფუძვლიანი დამუშავება, კომპლექსური და უფრო დეტალური მიდგომა. სხვა ქვეყნების ანალოგიური კონცეფციის რეალიზაციის გამოცდილების გაზიარება. იმისათვის, რომ იგი უკეთ ითვალისწინებდეს გარდამავალი ეტაპის (რომელიც გარდაუვალია) თავისებურებებს, ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობას, საზოგადოების სატკივარს.

რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა ჩვენს წინაშე უპირველეს ამოცანად სახავს ძალთა კონსოლიდაციის ამოცანას და ერთიანი ძალით ეკონომიკის აუცილებელი გაჯანსაღების პრობლემების სწრაფ გადაჭრას. ყოველივე ეს კი მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მყარ ეკონომიკურ საფუძველზე მივაღწიოთ ეროვნულ სუვერენიტეტს და საქართველოს სოციალურ-კულტურული, ინტელექტუალური, დემოგრაფიული სიძლიერისა და ეკოლოგიური სიჯანსაღისაკენ გეგმაზომიერი სვლის დაჩქარებას.

დღეს საქართველოს ყველა ძალის ერთიანობა რესპუბლიკის მდგრადი ეროვნული მეურნეობის კომპლექსის ჩამოყალიბების გადამწყვეტი ფაქტორია. ეს ერთიანი კომპლექსი კი უნდა შეიქმნას ჩვენი ისტორიული წარსულის, ეთნოსოციალური პრობლემატიკის ღრმა ანალიზისა და ეკონომიკურ შესაძლებლობათა და ბუნებრივი პირობების სრული გათვალისწინებით.

ამავე დროს კარგად ვიცით, რომ მხოლოდ თავისუფალ პიროვნებათა ერთიანობას შესწევს უნარი გადაწყვიტოს რთული შემოქმედებითი ამოცანები. ამის შესაბამისად საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა მიენიჭოს ის თავისუფლება, ურომლისოდაც შემოქმედებითი ღწვა შეუძლებელია. დიქტატისა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების სანაცვლოდ უნდა დავნერგოთ პირადი ინიციატივის, თვითდისციპლინის, თვითმმართველობის, თვითგანათლების, მაღალი კომპეტენტურობისა და ურთიერთგაგების, ღრმა პატივისცემისა და ურთიერთთანადგომის, სათნოების პრინციპები. ამავე დროს, ყოველმხრივ უნდა მოვუფრთხილდეთ ადამიანის ღირსებას, მისი ასაკის, განათლების, ცენზისა და სხვა განმასხვავებელი თვისებების მიუხედავად. ადამიანის სოციალურ უფლებათა დაცვას უნდა ემსახურებოდეს ყველა ახლად მიღებული კანონი და საკანონმდებლო აქტი.

ეს შესავალი იმისათვის დაგვჭირდა, რომ ყოველი ჩვენგანისათვის ცხადი გახდეს ეკონომიკურად მოშლილი და კრიზისულ მდგომარეობამდე მისული ქვეყნის აღმშენებლობით პროცესში თითოეული ჩვენგანის უშურველი მონაწილეობის აუცილებლობა, ეროვნული მეურნეობის რა დარგიც უნდა იყოს და ჩვენი მოღვაწეობის რა სფეროც. საბაზრო ურთიერთობის პირობები დროის უქმად მოცდენას არ გვაპატიებს, სხვისი მომლოდინეობა წარსულს ჩაბარდა, თუ ძალიან არ დავიგვიანეთ, დროა ვისაც რა ხელგვეწიფება და შესაძლებლობები გვაქვს, გაერთიანებული ძალით შევეჭიდოთ პრობლემებს, რომელთა დროული მოგვარება ასე რიგად საშური და გადაუდებელი საქმეა. მამულს ჩვენი ერთიანი ძალისხმევა თუ ჩაუდგამს ახლებურ სუნთქვას, თორემ გარედან დახმარების იმედად ყოფნა ნამდვილად არ შეიძლება.

ქვეყნის სამეურნეო კომპლექსში ყველა დარგის ნორმალური არსებობისათვის შეიძლება დღეს საჭირო პირობები არ იყოს შექმნილი, მაგრამ ლოდინი არსებობის შეწყვეტის ტოლფასია. საჭიროა გაბედულად შევებათ საქმიანობის მოგვარებისა და მისი ეფექტიანად გაძღოლის პრობლემებს, რომლის კონკრეტულად განხორციელება რეფორმისტული გზების უქონლად პირადად მე წარმოუდგენლად მიმაჩნია. შემოქმედებითად, პერსპექტიულად უნდა განვჭვრიტოთ და ავწონ-დავწონოთ ყოველივე და დარწმუნებულებმა არჩევანის სისწორეში, პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ.



საბაზრო ეკონომიკის გზაზე

ორი თვე არც არის გასული, რაც საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XXI ყრილობამ მისი ალიანსის — ცეკავშირის საბჭოსა და გამგეობის წევრად ამირჩია. არჩეული ვარ აგრეთვე ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. სისტემაში მუშაობის მოკლე ხნის მანძილზე გავეცანი და შევისწავლე სისტემის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, პრობლემები და ხელმძღვანელობასთან ერთად იმ დასკვნამდე მივედით, რომ აუცილებელი იყო განგვეხორციელებინა რადიკალური რეფორმები, რადგან საბაზრო ურთიერთობამ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაში სერიოზული კორექტივების შეტანის აუცილებლობა გვიკარნახა. ამდენად, სისტემის განვითარების ადრინდელი ეროვნული კონცეფცია გადასასინჯი შეიქმნა. ახალი კონცეფციის შემუშავებას ყრილობის წინ გარკვეული დრო დასჭირდა, რომლისთვისაც ჩვენს წამყვან ეკონომისტებსა და სპეციალისტებთან ერთად ევროგაერთიანებიდანაც კი მოიწვიეს ექსპერტები. სულ დამუშავდა დარგის განვითარების 4 კონცეფციური ვარიანტი. ერთ-ერთი ვარიანტის ავტორი ამ სტრიქონების ავტორია, რომელზეც შეჩერდა ყრილობის დელეგატთა არჩევანი.

რა ძირითად მომენტებს ითვალისწინებს და რას წარმოადგენს რეფორმა, რომლის განხორციელებასაც უკვე შეუდგა ცეკავშირის ხელმძღვანელობა? იგი ახალი ეტაპია კოოპერაციის განვითარების თვალთახედვით, რომლის რაობაზეც, შინაარსზე ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს არა მარტო სისტემის, არამედ სხვა დარგის მუშაკებსაც. შეუძლებელია რეფორმით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები უგულისყუროდ დატოვონ დაინტერესებულმა ადამიანებმა, რომლებიც ხვალინდელ დღეს იმედის თვალით შეჰყურებენ.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით გარკვეულწილად მიესადაგა საბაზრო ურთიერთობის პირობებს. მაგრამ მისი შესაძლებლობათა არსენალი გამოუყენებელი დარჩა მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული დანაყოფების უეფექტო საქმიანობის შედეგად. ძნელი გახდა საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა. წინანდელი კონცეფციისაგან განსხვავებით ცეკავშირი ახალ კონცეფციაში წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკური და იურიდიული პირების სააქციო საზოგადოების ტიპის გაერთიანებას, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. კოოპერაცია თავისი აქციონირების (მეპაიეების) ინტერესებიდანვე გამომდინარე ეწევა მრავალპროფილიან საქმიანობას, რომელიც წინამორბედისაგან განსხვავებით ითვალისწინებს ფერმერული და გლეხური მეურნეობებისათვის ყოველმხრივ დახმარებას, ფასიანი ქაღალდების გამოშვებას. ამის გარდა, უფლება ეძლევა გამოუშვას სერთიფიკატი. საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობაში მოსალოდნელი სიძნელეებისაგან თავის დაზღვევის, ან კიდევ რისკის შემცირების მიზნით, შეიძლება შემოღებულ იქნას თამასუქიც; სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ კოოპერაციული საზოგადოებები იქმნება ორი მიმართულებით: პირველი გახლავთ ტერიტორიული (რაიონული) კოოპერაციული საზოგადოებები, რომლებიც იქმნება რაიონულ მომხმარებელთა სააქციო საზოგადოებებად რეორგანიზაციის შედეგად; მეორე, — დარგობრივი კოოპერაციული საზოგადოებები. იგი იქმნება რესპუბლიკური ეროვნული კოოპერაციული ალიანსის „ცეკავშირის" საკუთარ მეურნეობაში შემავალი ორგანიზაციების, საწარმოების, გაერთიანებების, ფირმების სააქციო საზოგადოებებად რეორგანიზაციის შედეგად.

კოოპერაციული საზოგადოების წევრები (აქციონერები, მეპაიეები), შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ან უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად (საბიუჯეტო ორგანიზაციების გარდა).

ამ სიახლეთა მიზანია მართვის მთავარ რგოლში კაპიტალის აკუმულირება, მოზიდვა, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და კომერციული საქმიანობის გასააქტიურებლად, რათა შემდგომ მიღებული მოგებით შესაძლებელი გახდეს გაჩერებულ, ფაქტობრივად დაკონსერვებულ საწარმოთა ამუშავება, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდება და მისი ბრუნვაში მოქცევა, საბოლოოდ კი მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება, აქციის მფლობელებზე დივიდენდების გაცემა. ამიტომაც არის დასაშვები საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შესატანად ჩაითვალოს შენობა, ნაგებობა, მოწყობილობა და სხვა მატერიალური ფასეულობები, ფულადი სახსრები, მათ შორის უცხოური ვალუტაც, ფასიანი ქაღალდები, ინტელექტუალური საკუთრება, ადამიანის შრომა, აგრეთვე შენობით, მოწყობილობებით, წყლით, მიწითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება.

კონცეფციის მე-3 თავის ერთ-ერთი მუხლით რესპუბლიკის ეროვნული ალიანსის ასოცირებულ წევრებს აქვთ ალიანსის შემადგენლობიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება (გამოსვლის წესებს არეგულირებს ალიანსის წესდება).

კოოპერაციული საკუთრება ხელშეუხებელია და მას კანონით იცავს სახელმწიფო. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ კოოპერაციული საზოგადოებებისა და მათი ალიანსის სამეურნეო, ფინანსურ და სხვა საქმიანობაში, გარდა საქართველოს რესპუბლიკისა და მასში შემავალი ავტონომიური წარმონაქმნების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ახალი კონცეფციით კოოპერაციულ საკუთრებას კონკრეტული მესაკუთრე, მეპატრონე უჩნდება აქციონერის (მეპაიეს) სახით, რომლის უფლებები მნიშვნელოვნად ფართოვდება, ამასთან მას პასუხისმგებლობაც ეკისრება თავისი პარტნიორებისადმი, მმართველობითი სტრუქტურებისადმი კოლეგიურ დამოკიდებულებაში, საქმის გაძღოლაში. ძირეულ რგოლებს სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა ენიჭებათ სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ ეფექტიანობის გადიდების მიზნით სტრატეგიული მართვა ცენტრალიზებულად ხორციელდება ალიანსის წევრების კეთილდღეობის ამაღლების თვალთახედვით. კონცეფცია ახალ იმპულსს მისცემს კოოპერაციულ მოძრაობას, ეფექტიანს გახდის სისტემის მუშაკთა საქმიანობას.

ოლეგ ეჯიბაძე,

ალიანსის — „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

ვის უნდა ვანდოთ საკუთარი დანაზოგი?

· ახალგაზრდა სპეციალისტის საყურადღებო რჩევა

საქართველოს დღევანდელი მძიმე ეკონომიკური, სოციალური, გნებავთ, პოლიტიკური ვითარება, ჩემი აზრით, იმითაც არის განპირობებული, რომ ქვეყნის მატერიალურ ფასეულობებს, უძრავ-მოძრავ ქონებას არა ჰყავს რეალური მეპატრონე, რომელიც ქარხნის, მეურნეობის, ფირმის პრობლემებს გაითავისებდა და მისი ბედი დიდად იქნებოდა დამოკიდებული იმ ორგანიზაციის ბედსა და მომავალზე, რომელიც გარკვეულწილად მისი საკუთრებაც იქნებოდა.

არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის თამბაქოს, ღვინისა და სხვა წარმოება მთლიანად სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს და კერძო ბიზნესი კი ასევე მთლიანად — გამოირიცხოს. თამბაქოს მაგალითი განვიხილოთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ღია სააქციო საზოგადოებების „ფილიპ მორისის". და „ვირჯინია ტაბაკის" მიერ წარმოებული ერთი კოლოფი „მალბორო" 2-3 დოლარამდე ღირს, მწარმოებელი ფაბრიკა მას 30-დან 40 ცენტამდე ჰყიდის. ფასთა ასეთი სხვაობა იმით არის გამოწვეული, რომ კერძო მწარმოებელი მრავალ გადასახადს იხდის (აქციზების, დამატებითი ღირებულების, ჯანმრთელობის დაცვის ფონდის და სხვა), ამასთანავე თავის აქციონერებს დივიდენდებით აკმაყოფილებს.

სააქციო საზოგადოება, ცნობილია, არის ორგანიზაცია, რომლის სახსრებიც იქმნება აქციების გამოშვებისა და გაყიდვს გზით. აქცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების თანხების ჩამოყალიბებაში და მისი მოგების შესაბამისი წილის — დივიდენდის მიღების უფლებას იძლევა. აქციებს ყიდულობენ და ყიდიან. მათი ფასი შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს მათივე ნომინალური ღირებულებისგან და დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების სამეურნეო მდგომარეობაზე, ფონივრულ რეკლამასა და საბირჟო თამაშზე.

სააქციო საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერების საერთო კრება, რომელიც ირჩევს დირექტორთა საბჭოს, ამტკიცებს ყოველწლიურ ანგარიშებს საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ, საბალანსო ანგარიშებს და სხვა.

ერთი ექსკურსი დირექტორთა საბჭოს შესახებ: პრეზიდენტობის კანდიდატობის დროს რონალდ რეიგანმა განაცხადა, რომ მისი კაბინეტი უნდა შედგეს მრჩევლების ვიწრო წრისაგან, მსგავსად კორპორაციის დირექტორთა საბჭოსი. მან ეს პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში განახორციელა, რასაც დღეს რეიგონომიკას ვუწოდებთ.

ყოველივე ეს, ალბათ, ბევრისთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ უმრავლესობამ შეიძლება არც იცის, თუ რა განსხვავებაა ბანკის, ფირმის, სატრასტო, საინვესტიციო კომპანიების მეანაბრესა და სააქციო საზოგადოების აქციების მფლობელს შორის. ტრივიალურად თუ შევხედავთ, განსხვავება არ არის: როგორც მეანაბრეებს, ასევე აქციების მფლობელებს, ეძლევათ პროცენტი. მაგრამ სინამდვილეში სერიოზული განსხვავება არის.

ჩვენი პრობლემები

მეანაბრესათვის, რომელმაც იცის, რომ სამი თვის შემდეგ უნდა აიღოს შენატანის გარკვეული პროცენტი, სულერთია, ვის მიაბარებს თავის ფულს, ოღონდ მაქსიმალური მოგება მიიღოს. აქციონერისათვის კი მყარი პროცენტი განსაზღვრული არ არის: რაც უფრო დიდია სააქციო საზოგადოების მოგება, მით უფრო მეტია დივიდენდი და ამდენად აქციონერი დაინტერესებულია ამ საზოგადოების წარმატებით.

ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკას დაფიქსირებული აქვს, რომ ოთხმოციან წლებში სააქციო საზოგადოებებსა და კორპორაციებს დაქირავებული მოხელეებისათვის გადაუხდიათ თანხა, რომელიც 14-ჯერ აღემატებოდა დივიდენდებისა და გაუნაწილებელი მოგების საერთო ჯამს. ამით იმის თქმა მინდა, რომ სააქციო საზოგადოებები უდიდეს საქმეს აკეთებენ იმითაც, რომ ქმნიან სამუშაო ადგილებსა და ნორმალური არსებობის საშუალებას აძლევენ საზოგადოების გარკვეულ ნაწ ამ კუთხით სულ რამდე ციფრს დაგისახელებთ მსოფლ ში უდიდესი კორპორაციის „ჯე რალ მოტორსის" პრაქტიკი 1990 წელს მისმა წლიურმა ბრ ვამ 110 მილიარდ დოლარს გა მეტა. იმავე წელს მან გას მილიარდი დოლარის დივიდე ბი. წლიური მოგება კი 5 მილ დი დოლარი ჰქონდა. ამ პე დისთვის ჰყავდა მილიონ 300 სი აქციონერი. ნიშანდობლ რომ შეერთებული შტატების უჯეტში შეტანილი ყოველი დოლარი „ჯენერალ მოტორ და მასთან დაკავშირებული გების მუშაობის შედეგია.

ამ პრაქტიკიდან გამომდ რა შეიძლება ვურჩიოთ მოქ ქეებს? ვურჩევდი, რომ მაქსიმალურად დაკვირვებ გინესის წიგნში დაფიქსირ ლია აქციის კურსის 15,3 პრ ტიანი მატება 14 დღის განმა ბაში, ესე იგი, თვეში — 30 ცენტი. რა თქმა უნდა, ამ ლარული წიგნის შემდგენ ვერ გაითვალისწინეს აო მმ და მსგავსი სააქციო საზოგა ბების „ფანტასტიკური" შედ

საინვესტიციო კომპანია თუ კი, რომელიც დაგპირდებათ ში 30 პროცენტის გადახდას ანაბარზე მყარი ვალუტით და შავებს ყველა წესის დაცვით, გადაიხდის ყველა გადასახადს, ცოტა, თვეში ასპროცენტიანი გებით უნდა მუშაობდეს. ყველასთვის ცნობილია, დღ დელ პირობებში გამორიცხუ

თუ გსურთ საკუთარი დანა რომელიმე სააქციო საზოგად ბანკს, სატრასტო თუ საფ კომპანიას მიაბაროთ, ნუ და დებით მაღალ პროცენტს, კარგად გაიგეთ, ვისთან გაქვ მე. შეეცადეთ თანხა დააბა ისეთ კორპორაციაში, რომე შესაძლებელია თქვენი შენა დაზღვევა და რომელსაც აქ საზიდი თანხის შესაბამისი ვი ქონება. ასეთ შემთხვევაში კი ან გამოირიცხება, ან მი ლური იქნება.

რობერტ დევდარი

სახელმწიფოს მეთაურ რატის სახელმწიფო მ ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია ყოველი პირველის შოვლისა

სილოვან ნარიმანიძე



ციკლიდან: „წლევანდელი შემოდგომა“

პარლამენტარები, პოლიტიკოსები და გროსმაისტერები...

ძვირფასო ორატორებო, ნუ მოითხოვთ პოლიტიკოსებისაგან,
თქვან, თუ, რა სვლები ჩაიფიქრეს მომავლისათვის!...
ცხოვრება ხომ დიდი საჭადრაკო დაფაა,
სადაც პოლიტიკოსი-გროსმაისტერები თავიანთ გონებრივ
შესაძლებლობებს ხცდიან, —
როგორც მოჭადრაკე გროსმაისტერები!
ახსოვთ, როდის იყო, რომ მოჭადრაკე მოწინააღმდეგეს ატყობინებდა,
თუ რა შემდგომი სვლები ჩაიფიქრა?
საჭიროა, გაითვალოს ყველაფერი.
როცა მტერია შენს წინ, მაშინ მით უფრო!
ცხოვრება ხომ უფრო დიდი ბრძოლაა, ვინემ შეხლა-შემოხლა
საჭადრაკო დაფაზე.
რატომ სთხოვთ პოლიტიკოსებს, თქვან თუ რა სვლები ჩაიფიქრეს
მომავლისათვის?
ხომ იცით, რომ მტერიც გისმენთ და მოყვარეც.
თქვენი გატაცება ხომ გულუბრყვილობაა...
პარლამენტი კი, პარლამენტია!
რატომ ივიწყებთ, რომ ხალხი დგას თქვენს უკან.
და წინ კიდევ დიდი ბრძოლაა მოსაგები!
თქვენი ასპარეზი ხომ ქუჩა არ არის, რაც პირზე მოგადგებათ, ის
ამტკიცოთ.
შეიბრალეთ პოლიტიკოსებიც და თქვენი თავიც, ორატორებო!

არჩევანი

დღეს თავს სწირავდა ბევრი მათგანი,
და მარადისად უკვდავებად იბადებოდნენ
სხვათა ხსოვნაში.
და ისინი კი, ვისაც სიცოცხლე ასე უღირდათ,
უფერულ დღეებს წინ ტაატით მიუყვებოდნენ;
ეკიდებოდნენ ხავსსა და ლოდებს,
ოღონდ ემზირათ მზისთვის მცირე ხანს,
გინდ შერცხვენილებს,
რომ ემზირათ მზისთვის მცირე ხანს!..
ერთს შეეძლო, რომ ბევრი რამე დაეთმო სხვისთვის,
მაგრამ ღირსებას, არასოდეს ის არ დასთმობდა!..
მეორისათვის ღირსების გზა სულ არ ფასობდა,
მაგრამ სიცოცხლეს არაფრისთვის ის არ დასთმობდა!..

გლოვა მთებისა

1951-52 წლებში, რესპუბლიკის მთიანეთის თითქმის მთელი მოსახლეობა ბარში ძალით ჩამოასახლეს, ამით საქართველოს ჯაჭვ-მუზარადი აჰყარეს და მარჩენალი ძუძუ მოაჭრეს...

ავტორი

ჩვენი ზვიადი მთის მწვერვალები,
უკაცრმა ქარებმა მოითარეშეს,
ენარცხებოდნენ ძირს ნამქერები,
სევებს მიაწყდნენ, ტყეთა ფარეშებს...
მთებო,
რატომ ხართ ასე მარტონი,
ვინ დაგაცილათ, ერთგულ პატრონებს,
რა იქნა თქვენი ვეფხის ნახტომი,
ელვად რომ ხცემდა უცხო ფანტომებს...
ძუძუ მოაჭრეს ერის მომავალს,
ჯაჭვ-მუზარადი ულვთოდ აჰყარეს,
მთებო, ყოველთვის უსწორებდით თვალს,
სამშობლო ქვეყნის მტერს და მოყვარეს...
რა ამოავსებს თქვენს სიცარიელეს, —
გულცივმა წლებმა ცრემლით დაღარეს,
ისინი გაჰყვნენ შავბნელ თარიღებს,
თქვენ კი ამ ცეცხლში გამოგატარეს...
გმირულ წარსულზე გული იტირებს,
სიტკბო მტერობით რად შეგიცვალეს,
ულვთოდ მოჭრილი ძუძუს ტკივილებს,
ვინ დაგიამებთ, თქვენ გენაცვალეთ!?
რატომ დაშალეს, ან, რა მიზეზით,
თქვენი ერთობა, მკვიდრი აქამდე,
რა იქნენ თქვენი ლომა ბიჭები,
ერის სიწმინდეს, რომ ინახავდნენ...
ნუთუ, დაყრუვდა თქვენი ორლობე,
დღეების სრბოლით, სიმწუხარეში?!
თქვენი შვილები ბედთან ომობენ,
მანდ კი, ქარიშხლებს გააქვთ თარეში...

დარიგება

მე შეგუებული ვარ სიღარიბეს...
ის უფრო უბედურია,
ვინც სიმდიდრეს ვერ ეგუება!

როცა კაცი კვდება

როცა კაცი კვდება,
იმაზე კი არ უნდა წუხდეს,
რომ მიდის, ქრება —
არამედ, იმაზე,
თუ აქ ვინ რჩება!

თხოვნა

ამოვა თუ არა, ვინ იცის?..
დარი დაუდგება თუ არა, ვინ იცის?..
ნაყოფს მოისხავს თუ არა, ვინ იცის?..
მაგრამ გუთნისდედავ,
მაინც დათესე!..

მეცენატებს

რომ აჯილდოებთ ბურთის ოსტატებს,
მეცნიერებს და გმირ მხედართმთავრებს,
მსახიობებს და ზოგ-ზოგ სხვა ვინმეს,
მცირეოდენი მოწყალებაც გაიღეთ ხოლმე
და მათხოვრებიც განიკითხეთ!..

დრო კი მიდის და მოდის

— გახედე აღმოსავლეთს,
მზე როგორ ამოდისო, —
გამახედებდა მზისკენ ძველი ძმობილი, ღვთისო...
— ბედნიერი ხარ მართლაც,
თუ გწამს და იცი ესო! —
ქვეყნად ყველაზე მეტად ვინ უნდა გიყვარდესო...
მოვა ცხოვრება სრული,
მცირედი გავა დრონი,
გადაიხსნება გული, ვით ლურჯი კაბადონი...
მარად დაჰნდა ბედსა,
სიბრძნეს მოვუხმეთ ოდით,
ეამი მახვილებს ლესავს,
დრო კი მიდის და მოდის!..

* * *

დააკვდა ტალღებს მშიერი მზერა,
დააკლდა დღეებს სული მეფური,
და აღარა ღირს იმაზე წერა,
რაც დამავიწყდა ჩემს უნებურად.
როცა დაღლილი ბილიკზე შევდექ,
ვიგრძენ, არავინ მყავდა მეგზურად,
და გამიხარდა, რომ წლების შემდეგ,
თქვენ გამახსენდით ჩემს უნებურად...

რადგან, ხსნა მხოლოდ!

უფალმა თავგზა აუბნიათ, გადაემტერნენ
ძმები ერთმანეთს, — ყორნებივით — ერთურთს კორტნიან,
დაცარიელდა სული მათი, — ხსნას დაეძებენ,
მათ ირგვლივ მხოლოდ ეშაფოტია!
რომ გაახსენო ყველაფერი, — ეს არ ივარგებს,
რაც იყო, იყო, ის ყოველი წარსულ დროშია,
მტერიც დაინდე,
გულში ვამბობ, მწარე სიმართლეს, —
რადგან ხსნა მხოლოდ დღეს ერთიან სამშობლოშია!

შავ ზღვას...

(ანუ საქართველოს ომი რუსეთ-აფხაზებთან)

შენს გამო, რამდენი ომი გარდახდილა,
შენ კი მუდამ უებრო იყავ და უებრო დარჩები!
მზეთუნახავივით აინთება შენი დილა,
ვაჟკაცებს უხმობდა
და არა ლაჩრებს!..
მდინარესავით ცრემლმა იდინა,
ხმალი ტყდებოდა, გული კვდებოდა,
შენს გამო ხდებოდა!
ჩვენ შენთან ვიყავით, რომ გადავვერჩინე,
შენი მოტაცება უნდათ,
ჩვენო თვალისჩინო!
როგორ იცოცხლებს ქართველი უშენოდ,
შენ შვენი მის გულჯახსნილობას,
ზღვაო მშფოთვარევ, დიდება შენს მადლმოსილობას!..

..მახსოვს შენი მზე, დიადი, მწველი, —
ჩვენ რომ მანდ ვმღეროდით, —
ზღვაო, სიმღერა რა იქნა ჩვენი?!
შენ თუ არა, სხვამ რა იცის, რა ყოფილა,
შენს გამო, ჩემო, რამდენი ომი გადახდილა!

მათ ხომ იცოდნენ, — ვინც შენთვის კვდებოდნენ,
გმირები, — შავ ურჩხულს რომ არ უკრთებოდნენ.

ჯერ ხომ მკლავი ჩვენი არ დაღლილა,
შენს გამო, ო, რამდენი ბრძოლა გადახდილა!..
ზეცის თალს სწვდებოდა შენი ხმა გოდების,
შენს წუხილს ბანს აძლევდა წუხილი არაგვის!
ო, თუ სიკვდილია,
ჩვენ შენთვის მოვკვდებით,
შენს იქით სიცოცხლე არა ღირს!

ღალატი?...

სჯობდა, ბრძოლაში მტერს მოვეკალი,
ვხედავ, ქვეყანა წყალმა წაიღო,
მწარე ღალატმა დაგვცა თავზარი,
თითქოს მახვილმა გული გამიპო!
თუ შენმა შვილმა ღალატიანის, —
დევნილის ხვედრი უნდა ატაროს,
მაშ, რად ალანთე ვეფხი ბწყლიანი,
რად განაცვიფრე, შენით სამყარო!?.
ო, ღალატისთვის რატომ გაგვწირე, —
წარიღე დღენი ხალისიანი,
მიწას ვაბარებთ ამაყ არწივებს,
გულიც სავსეა მწარე იარით...
ღვარი წაიღებს ფიქრის ჯებირებს,
სულს ულონობის ჯანღი დახურავს,
მოძმის ღალატს რად გვაყურებინე,
მოვკვდე, ისა სჯობს ასეთ სამდურავს...
გულმა ტკივილი ველარ ალაგმა,
მამულის გმირნო, საარაგველნო! —
თავი აიშვა, მოძმის ღალატმა
მახე დაგვიგო იმერ-ამერნო....
ისევ სიმუხთლე?.. ო, ზრა მჭერა,
მოძმის მოძმეზე დაშნის ღირება?..
დაყრუვდეს სმენა, გახმეს მარჯვენა,
მისი, — ვინც ჩვენი დაშლა ინება!..
გამისკდეს მიწა, დამეცეს მეხი,
ცეცხლის ლადარში დავინთქე ალალ,
თუ ღალატისთვის გაგვწირავს ბედი,
დღემდე რაც გვტანჯა, თუ არ გვაკმარა!

მეგობრის საფლავთან

რონდამ ჩახანიძეს

შენთვის თუ არ არის ძნელი,
მე რად მეჩვენება ძნელად?
სად შენ, სად სამარე ბნელი!
შენ უბრად?!
მირიად წელი?..
წახვედი, გარემო სდუმდა,
დაჰქროდა შიავი ნელი,
შორით ზარბაზნები ქუხდა,
ო, მკაცრი, ეს თარსი წელი!
სიკვდილი მოვიდა შენთან,
ძნელია, როცა არ ელი,
ღმერთებს გამოუხმე შველად,
მაგრამ ვინ ისმინა შენი?..
რა უცებ დასრულდა შორად.
გზა გრძელი, ხიფათის მჩენი,
შემოგრჩა სამების გორა,
და ზეცა საოცრად მშვენი!..
ლამაზად იცხოვრე, რონდამ,
ოკეანეების ვნებით,
შენი იალქანიც ჰქროდა,
ოცნების ლამაზი ფრთებით!
თუ შენთვის არ არის ძნელი,
მე რად მეჩვენება ძნელად?
სად შენ, სად სამარე ბნელი!
შენ უბრად?!
მირიად წელი?..

მთები

ზოგი პირდაპირი
და ზოგი ირიბი,
თეთრლეჩაქიანი პროფილებით,
ჩვენი მამებია,
ჩვენი დედებია,
ჩვენი პაპებია ძლევამოსილები!..
...იარაღასხმულნი, ლოდებადქცეულნი,
მზერით წინანდელით მოიმზირებიან,
მთები გოლიათი ქალდეველებია,
სულ მუდამ ჩვეზკენ რომ
მოიზიდებიან...

მტრები

დიდი ხნის შემდეგ
ჩვენ ისევ შევხვდით,
რაც მოხდა მაშინ, /
კარგად გვახსოვს ორივეს
დღემდის, —
დიდი ხნის შემდეგ,
როცა კვლავ შევხვდით,
აღარ ვდაობდით,
ის თავისთვის იყო,
მე ჩემთვის.

შაოსანი საქართველო

მთები შეჭირხლა ოქტომბრის შხამმა,
ფერისცვალების დადგა ტარონი,
შენც შეიცვალე, დაეშვი დაღმა,
თითქოს გერი ხარ ამ სამყაროსი.
როგორ აშლილა ქარი და დელგმა,
ვერ განუგეშებ დაღლილს ლოდინით,
სამშობლოს დროშა დახია მეხმა,
გულს მძიმე სევდა ადევს ლოდივით..
მზიან გაზაფხულს რომ მოველოდი!..
მზე ღრუბლის იქით ჩამოატარეს,
ბინდმა მოიცვა უსაშველობის
შავებში მყოფი სამშობლო მხარე...
ნუ იტყვი, შექცა ბედის ბორბალი,
მტერმა ღირსება შენი შებილწა,
კვლავ ძალას იკრებ დღეს შაოსანი,
ღრუბელს გადიყრის მჭერა შენი ცა!..

სხვა რომ გააცინო, პროფესიონალი უნდა იყო

„სიცილიას“ გამოსვლასთან დაკავშირებით

სიცილია
№1.
3
8
14
22
26
29
30
31

ჩვენს ხელთ არის № 1 სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „სიცილია“. ჟურნალის დამფუძნებლები და სარედაქციო დარბაზი (გივი გეგეჭკორი, ომარ გრძელიძე, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ ფანჯიკიძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, ვახტანგ ჯავახაძე) ნომრის გახსნაზე დაბეჭდილ მიკროსკოპულ მოწინავე წერილში ასე ხსნიან გამოცემის აუცილებლობას: „სიცილი, სიცილია იქით იყოს, წამალიცააო“. ე. ი. ჟურნალი-წამალი, მათი აზრით, წაადგება ჩვენს მოწამლულ ყოფას, გაწამებულ ცხოვრებას.

თვით ჟურნალის მესვეურების ჩამონათვალიც ნაღდად გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს უაღრესად სერიოზულ, კარგად დაბალანსებულ კოლექტივთან, რომელსაც ხელეწიფება არამარტო სიცილის ბაცილა შეჰყაროს მრავალი მორონელი ფიქრებითა თუ მწერ-მტაცებლებით შეჭმუნვილ ქართველ მკითხველს, არამედ ფილოსოფიურ, ჰამლეტისეულ სიმაღლეებამდე აიყვანოს მისი აზრები ყოფნა-არყოფნის თაობაზე; გვიჩვენოს კაცი, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს და ამ სიყვარულის გულისთვის მზად არის ნაკუწ-ნაკუწად აქნას თავისი მოყვასი (ვისაც მასავით არ უყვარს სამშობლო), მისი ცოლი ხარჭად დაისვას, შვილები სტამბულს მონებად დაუყიდოს, ხოლო მისი სარჩო-საბადებელი გაუნაწილოს იმას, ვისაც სამშობლო უყვარს სწორედ ისე, როგორც პირადად მას, დაგვიხატოს და თან დოკუმენტური სიზუსტით გადმოგვცეს ჩვენი პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სხდომა, რჩევა-დარიგებანი მისცეს პარლამენტარებს თუ მთავრობას, სკოლის მესვეურებს, შეიარაღებულ ფორმირებათა ორგანიზაციებს, პარტიების შექმნის მოყვარულებს, ერთი სიტყვით ყველას, ვინ „წუთისოფლის საჭრელში“ (ჟურნალის ერთ-ერთი რუბრიკაა) აქეთ-იქეთ აწყდება და ჭეშმარიტებისაკენ გზას ვერ პოულობს. მაგალითად, ჩვენს ფიქრს „როგორ გავხდეთ მილიარდერი“? ალბათ, მალამოდ დაედება ეს რჩევა:

„ლექსების ტომი მზადა მაქვს!
ეს არის ჩემი ბარტერი,
მილიარდ კუპონს ავიღებ,
გავხდები მილიარდერი“.

არანაკლებ დამაფიქრებელია შემდეგი სენტენციაც:

„კაცს გაერიდე უნიჭოს,
გაბინძურებულს, გასვრილს,
ვის აზრსაც შენთვის არა აქვს
არავითარი აზრი“.

იუმორისტულად მრავლისმომცველია „განცხადებები“, „სხვადასხვა“, „კრიმინალური ქრონიკა“ და სხვ.

ჟურნალში დასტამბულია ჭაბუა ამირეჯიბის ახალი რომანის „გორა მბორგალის“ ნაწყვეტი, ელეგია — „ბუზების საკლავი“, „ინტერვიუ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალთან“, „პარლამენტის სამშაბათი“, გალაქტიონის რუსულ-ქართული კალამბურები, სხვათა და სხვათა ფილიპიკები, „პიკები“ და „კიკები“.

ბევრ სასიამოვნო წუთს მოგანიჭებთ ფუნაგორიების დაკვირვებული წაკითხვა, ბერძნული და ფრანგული იუმორი, ცნობილი კარიკატურისტი მხატვრის ჯემალ ლოლუას გასამხედროებული ნახატები და სატირულ-იუმორისტული კროსვორდიც, რომელიც დასტამბულია ჟურნალის ბოლო 32-ე გვერდზე.

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზე, რაც სათაურში ვახსენეთ — პროფესიონალიზმის შესახებ. ნამდვილად ასეთები არიან ჟურნალის შემქმნელები [illegible] ტურად, ზუსტად, შედარებებისა და ეპითეტების მისადაგებულად გამოყენებით აღწერს ჩვენი ყველაზე მაღალი ორგანოს სხდომის მონაწილეთა შარვალ-კოსტუმ-ჰალსტუხებისა თუ თავ-პირ-სახისა და ყელყურ-ცხვირ-ბეჭ-მუცელ-წელ-მკლავფეხთა მოხაზულობა-აგებულებას, რომ უნებურად ფიქრობ: მწერალი ყველგან მწერალია, სულ ერთია სად ზის — პარლამენტში თუ საზოგადოებრივ საპირფარეშოში, იგი ყველგან „პრაფესიონალია“ (როგორც ამბობს ერთი, ერთობ ცნობილი, ყოფილი სპორტული ჟურნალისტი).

და კიდევ ფიქრობ: იქნებ ამან, მაღალმა პროფესიონალიზმმა, გადაგვარჩინოს?
ამინ!

• • •

მეგობრულ-ძმაკაცურად მინდა ვუსაყვედურო კოლეგებს: მოაწერეთ რა, საკუთარი გვარი თქვენს ნაწერებს! თორემ რა გამოდის? ჟურნალში ვხვდებით რაღაც ჩინურ თუ სინგაპურულ გვარებს: ავოე ამ-ამ-ამ, გიო რეკეტი, ალიბაბა ბურძგლა და სხვ. სულ ბოლოს კი, იმედია, კვლავაც გამოიყენებთ სააგენტოების „ბოთესა“ და „ფრინდას“ სენსაციურ ინფორმაციებს, ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეის, ავთანდილ გვილესიანის აზრებს, აგრეთვე — სასვენ ნიშნებს და უკორექტურო სათაურებს.

შინშრელი კოლეგა,
(აბა, გამოიცანით, ვინა ვარ?!)

პირველად დედამიწაზე!

საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო კომპანია
გთავაზობთ დედის დაზღვევას

ჩაწნული. ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც ბჭეკლა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მიკლდა,
ითვლიდა ჩემი პაწია გული.

არ შეგეშინდეს, შვილი ვარ შენი,
შენი ტანჯული სისხლი და ხორცი,
ნიავი ვარ და მგონია გშველი,
სიცხიანს, მწუხარს კულულზე გკოცნი...
(შოთა ნიშნიანიძე)

დედის დაზღვევა შეუძლია ყველა შვილს ცალ-ცალკე სადაზღვევო თანხით.

დედის დაზღვევა წარმოებს რესპუბლიკის დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო სადაზღვევო ფირმებში.

ჩვენ გთავაზობთ, დაზღვევის სურვილი კი შვილზეა!

ღვაწლი

სიყვარული სიყვარულის წილ

ასეა, სიკეთეც და სიყვარულიც წინ დახვდება მას, ვისაც თავისი ცხოვრების მანძილზე ორთავ უშურველად გაუღია. ასეთი პიროვნებაა ბატონი აკაკი ძიძიგურიც — 80 წლის ჭარმაგი, ღიმილიანი კაცი, რომელმაც შეძლო ქართული ხელოვნების, ჟურნალისტიკის, საერთოდ, კულტურისათვის უანგარო სამსახური გაეწია. ამ წვლილზე და კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეზე ითქვა გულთბილი სიტყვები შეხვედრაზე, ამ დღეებში რომ გაუმართეს მას საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში — მართო ის რად ღირს, რომ აკაკი ძიძიგურის წყალობით შემორჩა საქართველოს რადიოს ოქროს ფონდს დები იშხნელებისა და უშანგი ჩხეიძის მადლიანი ხმები.

იუბილარს მიესალმნენ აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, პროფესორი ზაზა აბზიანიძე, რეჟისორები გიგა ლორთქიფანიძე, რევაზ ჩხეიძე, პოეტები მზია ხეთაგური, ოთარ ჭელიძე. კულტურის მინისტრის მოადგილე თეატრმცოდნე მაია კობახიძე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოადგილე, კრიტიკოსი ჯუმბერ თითმერია. ფრიად საინტერესო, იუმორით შეფერილი ეპიზოდები გაიხსენეს ბატონებმა დევი სტურუამ და თემო ჩირგაძემ. ქალბატონმა ზეინაბ ქიქილაშვილმა დამსწრეთ გააცნო უხუცესი თანამშრომლების ნინო ლაიშვილისა და მერი მელაძის მოლოცვები.

საღამოს უძღვებოდნენ მსახიობები ზინა კვერენჩხილაძე და ჯემალ მონიავა.

...დღეს, ჩვენს შეჭირვებულ დროში განსაკუთრებით საჭიროა ადამიანებმა გულისხმიერება გამოიჩინონ ერთმანეთის მიმართ, გაამხნეონ ერთმანეთი!

საღამო, რომელზეც საქართველოში უძველესი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა წრფელი სიყვარული და მადლიერება გამოუცხადეს თავიანთ ამაგდარ დირექტორს, იმის მაგალითი იყო, რომ კეთილი კაცის ნაღვაწი და ნამოქმედარი ღრმა კვალს ტოვებს მის გარშემო მყოფთა გულებში.

...ეს გულის სითბო იგრძნობოდა სწორედ ცროვნული ბიბლიოთეკის ჭერმაღალ დარბაზში, სადაც გამოცხადდა, რომ მის მიერ, ღირსებით განვლილი გზა, ღირსების ორდენითაც აღინიშნა.

ნანა ღვინეფაძე.

თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც ფიქრობენ...

„ხელოვნური თანამგზავრი“ თუ „ხელოვნური დედამიწა“?

მეორე საუკუნის დასასრული ბიბლიის მიხედვით მეორედ მოსვლის დროდ არის მიჩნეული. მაგრამ ჩიკაგოელმა პალეონტოლოგებმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ პრაქტიკულად დაამტკიცეს, რომ სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე ყოველ ოცდაექვს მილიონ წელიწადში ერთხელ განიცდის კატასტროფას, კაცობრიობას კი არსებობიდან მხოლოდ ხუთიათას ხუთასი წელი ახსოვს. მაშასადამე, კაცობრიობას კატასტროფა დიდ ხანს არ მოელის? მილიონი წლებია გასავლელი, თუ ამ მეცნიერებს ვერწმუნებით. ალბათ, ასეა, მაგრამ მესამე მსოფლიო ომით რომ გვაშინებენ, რომლის დროსაც არ არის გამორიცხული დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედის დაღუპვა, ამას რაღა ვუყოთ? დარჩება ორი მესამედი და ეს სრულებითაც არ ნიშნავს კატასტროფას. გააჩნია ვისთვის, — ამიტომ უნდა ვეცადოთ იმ ერთ მესამედში არ მოვხვდეთ.

ამასობაში ცივილიზაცია განვითარების სულ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. მაგრამ ეს საკმარისი არ არის და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ დროს წინ გავუსწროთ, შევეცადოთ ამოვხსნათ ბუნების ისეთი გამოუცნობი მოვლენები, როგორიცაა მფრინავი თეფშები და შევქმნათ წინაპირობა სხვა გალაქტიკებში შესაღწევად. გეცინებათ?

შეუძლებელი არაფერია, მთავარია მოვინდომოთ! მოდით, ღლევანდელობას ახლებურად შევხედოთ და დავიწყოთ ავიაციით.

ავიაციის განვითარება დაიწყო მოჟაისკის პირველი თვითმფრინავიდან და მივედით დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრამდე. ახლა უნდა დავიწყოთ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან და მივიდეთ მოჟაისკის თვითმფრინავამდე ან პირიქით: შეიძლება მივაღწიოთ კაცობრიობის საწადელს და ავაგოთ საფრენი აპარატი, რომლითაც შევაღწევთ სხვა გალაქტიკებსა და ცივილიზაციებში.

თანამედროვე ხელოვნური თანამგზავრის აგება და ერთჯერადი გაშვება დაახლოებით იმდენი ჯდება, რამდენიც ერთი საკმაოდ მოზრდილი ქალაქის გაშენება თავისი კომუნიკაციებით.

დედამიწა ოდნავ ელიფსური ფორმისაა, ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო განუწყვეტლივ და მოძრაობს მზის ირგვლივ გიგანტური სიჩქარით; საშუალო სიჩქარე დაახლოებით ასრვა ათასი კილომეტრია საათში, წელიწადში (რვა ათას შვიდას სამოცი საათის განმავლობაში) [illegible] დაახლოებით ოთხმოცდათოთხმეტ მილიონ ექვსასრვაათას კილომეტრს და თან დაატარებს ხუთას ათი მილიონი კვადრატული კილომეტრის ზედაპირის მქონე მასას. ხმელეთით, ოკეანეებითა და [illegible]ნახევარი მილიარდი მოსახ[illegible]ით და ეს მოძრაობა კაცობრიობისაგან არავითარ ხარჯებს არ ითხოვს.

იბადება კითხვა: თუ ჩვენს მიერ შექმნილი კოსმოსური ხომალდის აგება და გაშვება ჯდება იმდენი, რამდენიც ერთი ქალაქის გაშენებას უნდა მოხმარდეს, დედამიწის მოძრაობა კი არავითარ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, მაშინ ხომ არ სჯობს, გამოვიდეთ დედამიწიდან გარეთ, კოსმიურ სივრცეში, [illegible]დაკვირდეთ მისი ფრენის და [illegible]ძრაობის პრინციპებს სამყაროში და დედამიწის „ხელოვნურ[illegible] თანამგზავრის“ ნაცვლად [illegible]ვქმნათ თვით „ხელოვნური დე[illegible]“.

სწორედ ამ იდეაზე ჩვიდმეტი წლის მუშაობამ დამარწმუნა, რომ ამჟამად უკვე მზად ვარ, შევუდგე ახალი საფრენი აპარატის — „ხელოვნური დედამიწის“ მოქმედი მოდელის აგებას, რისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, ვითხოვ დახმარებას პარლამენტისგან, სახელმწიფოს მეთაურისგან და რესპუბლიკის მთავრობისაგან. შემდგომში, თუ საშუალება მომეცა, საზოგადოებას უფრო დაწვრილებით მოვუთხრობ ჩემი გამოგონების შესახებ.

გოგი კვარაცხელია.

იუბილე

არწივი კრავდა ირაოს...

დიდებული, მეფის გვარისა გახლდათ და დიდებული პიროვნება იყო თავადაც. დღეს იოლი სათქმელია „მეფის გვარისა“, აი მაშინ, მოგეხსენებათ, სხვა დრო იყო. „ბაგრატიონობამ“ ბევრი სიმწარე მოუტანა დიდ ჯანოს — დიდ პატრიოტსა და მამულიშვილს. იქნებ არც დაიჯეროთ: ერთხელ ინგლისის გზაზე დამდგარი, ოდესაში, პირდაპირ ტრაპიდან ჩამოსვეს საგასტროლოდ მიმავალი — ალბიონის სანაპიროზე ოთხის ნაცვლად სამი ქართველი მოცეკვავე გაემგზავრა. ორკესტრის ხელმძღვანელის გვარის აშკარად „არაპროლეტარული“ წარმოშობის (ბერბიჭაშვილი ან, დავუშვათ, ბონჩ-ბრუევიჩი რომ ყოფილიყო, ალბათ, ბუენოს-აირესში და ჯაზის სამშობლო ნიუ-ორლეანშიც კი გაუშვებდნენ!) გამო ჯანოს ჯაზს მოსკოვსა და ლენინგრადში კი არა, მეზობელ ბაქოსა და ერევანშიც არ უშვებდნენ. აი, იქიდან კი, ლხინი მოგეცეს, თბილისს რეგულარულად ჩამოდიოდნენ გასტროლიორები — რაშიდ ბეიბუთოვი თუ არტემ აივაზიანი თავისი 28-კაციანი ორკესტრით. მაგრამ, მოდით, ჯაზზე მოგვიანებით ვისაუბროთ, ჯანო ბაგრატიონი ხომ, უპირველესად ყოვლისა, მოცეკვავე იყო.

თუ ქართულ ქორეოგრაფიაზე ვილაპარაკებთ, დავით ჯავრიშვილის, ილიკო სუხიშვილის, ნინო რამიშვილის, დავით მაჭავარიანის, გიორგი დარახველიძისა და რევაზ ჭოხონელიძის გვერდით, უპირველესად ჯანო ბაგრატიონი უნდა მოვიხსენიოთ.

შესაშური ალღოს, ფანტაზიისა და შემართების ხელოვანი იყო — ბრწყინვალე მოცეკვავე და ქორეოგრაფი. ბავშვობიდან შეისწავლა და შეისისხლხორცა ქართული ცეკვა, ასე რომ უყვარდათ მუდამ მშობლიურ სოფელ აბანოში, ქართლის გულში, ფრონის ხეობაში რომ მდებარეობს. ოდესღაც იგი გორის მაზრაში შედიოდა, ახლა კი ქარელის რაიონშია.

კოტე ბაგრატიონისა და ოლღა ამირეჯიბის ოჯახში 1909 წლის 15 სექტემბერს დაიბადა ჯანო (ირაკლი) ბაგრატიონი. ახალშობილს ორი სახელი დაანათლეს: ირაკლი — ასე უნდა რქმეოდა ტრადიციულად ბაგრატიონების ოჯახში პირველად დაბადებულ ვაჟიშვილს. მაგრამ აი, პაპის ანდერძიც რომ ვერ დაარღვიეს — თავიდანვე სურდათ ახალშობილი ბიჭისათვის ოჯახის ძველი მეგობრის ჯანსუღ დადეშქელიანის სახელი მიეცათ. ასე, ორი სახელით მოევლინა ამ ქვეყანას მომავალი ხელოვანი.

სოფელში იმ ხანად ხშირად იმართებოდა სახალხო ზეიმები, ახალგაზრდები ყოველ საღამოს აჩაღებდნენ ეგრეთ წოდებულ „ლხინს“. ადგილობრივი გოგო-ბიჭებისთვის დიდი პატივი იყო, თუ მათ წრეში გამოჩნდებოდა პარიზის კოლეჯის მოსწავლე გოგონა ბაგრატიონი. იგი ჯანოს ბიძა გახლდათ და ქორეოგრაფიის პირველი გაკვეთილები სწორედ მან ჩაუტარა პატარა ძმისწულს.

რაც შეეხება სიმღერას, აქ ჯანოს მასწავლებელი ერთპიროვნულად დედა იყო. იგი მშვენივრად ასრულებდა ქართულ რომანსებს და, წარმოიდგინეთ, მისი ხმა გრამფირფიტებზეც იყო ჩაწერილი.

ბაგრატიონებს, ალბათ, სისხლთან ერთად ძარღვებში მართლაც ჰქონდათ [illegible] ხელოვნების მადლი — ჯანოსთან ერთად საკმაოდ ცნობილი მსახიობები გახდნენ მისი დები მანანა და ნატო. პირველი ჯანოს ჯაზ-ორკესტრის წამყვანი მომღერალი გახდა და მისი შვილიც — ვახტანგ კიკაბიძე, მოგეხსენებათ, დღეს სახელგანთქმული მომღერალია. ჯანოს უმცროსი და ნატო, ნიჭიერი მოცეკვავე, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გამოდიოდა წლების მანძილზე. სხვათა შორის, ჯანოს მეუღლეც, ქეთევან მგალობლიშვილი, კარგი მოცეკვავე იყო — ისიც სხვადასხვა ანსამბლის წევრი გახლდათ.

თავად ჯანო ბაგრატიონი, როგორც ვთქვით, ჩინებული მოცეკვავეც იყო და მშვენიერი მომღერალიც. საუცხოოდ უკრავდა დაირაზე, ფანდურზე, სალამურზე. გიტარა მაინც ყველას ერჩივნა. ჯერ კიდევ ბავშვობაში თანდათანობით, „წკიპურტ-წკიპურტ“, ეუფლებოდა დაირას, მერე, თავის ჯაზში, ერთ სიმღერას დაირის თანხლებით ასრულებდა.

ბავშვობაში ჯანო მსახიობობაზე ოცნებობდა. ამბობენ, რომ მშობლიურ სოფელში მამაპაპისეული სახლის აივანზე მამის დახმარებით, ყაზბეგის „არსენა“ დადგაო. არსენას როლს თავად თამაშობდა, აი, ნინო კი, მისი თანატოლი გოგონა ნინო ლაფაჩი იყო — შემდგომში რუსთაველის თეატრის სახელგანთქმული მსახიობი. ჯანომ და ნინომ იმავე „სცენაზე“ ჰაჯიბეკოვის „არშინ მალალანშიც“ ითამაშეს ასქარისა და გულჩორას როლები. გაივლის წლები და ორივე საქართველოს სახალხო არტისტი გახდება. ორი „სახალხო“ ერთი სოფლიდან! „მეტი რა გინდათ, ეს, ოხერი?!“ — ეცინებოდა ხოლმე ჯანოს.

ო, როგორ დაწყდა გული პატარა ჯანოს, როცა ბაგრატიონების ოჯახი დედულეთ-მამულეთიდან აიბარგა, მამაპაპეული სახლ-კარი მაგრად ჩარაზა და თბილის ქალაქის გზას გაუდგა...

წამოიჩიტა ჯანო, დაუვაჟკაცდა ხმა. ხშირად იგონებდა მშობლიურ სოფელს: ხარ-კამეჩს, ურმის ჭრიალს, მზიან ქალობას, გავარვარებულ თონეში ჩაკრულ დედას პურს, ანკარა მდინარეში მოჭყუმპალავე ბიჭებს, ბექიდან მორევში პირველ ნახტომს, მერე სევდიან „ურმულსა“ და „ოროველას“ მიაყოლებდა, პირველად სოფელში რომ გაიგონა.

ქალაქში აღმოსავლური ბაიათებიც ისწავლა, იტალიური არიებიც აითვისა. ბიძამისმა ჯანო თბილისის კონსერვატორიის პროფესორს ევგენი ვრონსკის წარუდგინა. ცნობილ პედაგოგს მოეწონა ახალგაზრდა მომღერლის ლირიკული ტენორი. 22 წლის ჯანო კონსერვატორიაში ჩარიცხეს და სულ მალე ღია კონცერტზე ამღერეს: საყვარელი „ურმული“ შეასრულა „შოთა რუსთაველიდან“.

წარმატება მართლაც დიდი იყო — იმდენად დიდი, რომ იქ დამსწრე კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა გულში ჩაიკრა ახალგაზრდა, თავისი ნოტები აჩუქა გულთბილი წარწერით და სარაჯიშვილობა უწინასწარმეტყველა. სამწუხაროდ, სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა — უკვე მეორე კურსზე ბაგრატიონმა მოულოდნელად ხმა დაკარგა. სად გაქრა მისი წკრიალა ტენორი? გულისტკივილით მიატოვა იმედისმომცემი კონსერვატორიის კედლები. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაბედა სიმღერა და ისიც როგორი! — „ყვავილების ქვეყანა“, მანამდე კი...

24 წლის ჯანომ ხალხური ცეკვის ოლიმპიადაში მიიღო საკონკურსო მონაწილეობა. ლამაზმა, ტანწერწეტა ახალგაზრდამ მოხდენილად შეასრულა „ქართული“, მერე ცნობილი ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის რჩევით ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ გამოცხადებულ კონკურსშიც გამოვიდა და დასში ჩაირიცხა.

ცოცხალი, ლაღი ცეკვით ხიბლავდა ჯანო ბაგრატიონი ქორეოგრაფიის მოყვარულთ: იყო ეს „მთიულური“ ოპერა „დაისში“ თუ „ქართული“ „აბესალომ და ეთერში“, რომელშიც პარტნიორობას თვით ლილი გვარამაძე უწევდა. მოგვიანებით ამ შეხმატკბილებულმა წყვილმა ასევე მოხდენილად იცეკვა ოპერებში „შოთა რუსთაველი“, „დარეჯან ცბიერი“, „კაკო ყაჩაღი“, „სამშობლო“ და სხვა. აქვე აღსანიშნავია ჯანოს შეუდარებელი სოლო „კინტოური“ ოპერა „ქეთო და კოტეში“, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა მას.

39 წლისამ დაანება თავი ცეკვას და... ცეკვაში დარჩა ისევ! ჯანო ბაგრატიონმა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მთავარ ქორეოგრაფად დაიწყო მუშაობა. სწორედ აქ, ომის წლებში, დადგა მან ჩვეული ოსტატობით ცეკვები „ხორუმი“, „სვანური“, და სხვა, აქ გაისმა პირველად ტრადიციული ჯანოსეული შეძახილი „ჰე“!„ ასე რომ ამხნევებდა და აგულიანებდა მოცეკვავეებს.

ჯანო ბაგრატიონი წლების მანძილზე მოღვაწეობდა დრამატული თეატრის სცენაზეც, ამდიდრებდა სპექტაკლებს ოსტატურად დადგმული ცეკვებით. მას შემდეგ, რაც სრულიად ახალგაზრდა მიიწვიეს ქორეოგრაფად მარჯანიშვილის სტუდიაში, ჯანო სასურველი „თანამონაწილე“ გახდა ყველაზე ცნობილი დრამატული რეჟისორებისა. სად არ უმოღვაწია ცეკვის დიდოსტატს: რუსთაველისა და მარჯანიშვილის, მუსკომედიისა და მოზარდ მაყურებელთა, გორისა და ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის, მოსკოვის ოპერეტის, ხარკოვის, სვერდლოვსკის თეატრების სცენებზე, სტადიონსა თუ სპორტის სასახლეში...

დიდი ამაგი დასდო ჯანო ბაგრატიონმა ქართულ საცირკო ხელოვნებასაც. მანეჟისთვის მან ჯერ კიდევ ომამდე მოამზადა საგანგებო ნომრები — ცეკვა „დოლური“, „ქართული“, მაღლა ჰაერში გაჭიმულ ბაგირზე, „ხორუმი“... აკრობატული ილეთებით. ბაგრატიონის ნამოღვაწარს და ოცნებას კარგა ხნის შემდეგ, მხოლოდ 1958 წელს, შეესხა ხორცი: ქართულმა ცირკმა ბოლოს და ბოლოს მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანა თავისი პირველი პროგრამა, რომელშიც დიდი ადგილი ეკავა ქორეოგრაფ ბაგრატიონის მიერ მოგონილ და დადგმულ „საცირკო“ ცეკვებს.



ბრწყინვალე ქორეოგრაფის ნიჭი კინოეკრანზეც გამოჩნდა. თავის მუდმივ პარტნიორთან, შეუდარებელ ლილი გვარამაძესთან ერთად მან მოხდენილად იცეკვა „ქართული“ კინოფილმ „ჯურღაის ფარში“. აი, რას წერს „ქართული ცეკვის პოეტისადმი“ მიძღვნილ წიგნში ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ვახტანგ ჭოგოლაშვილი: „ჯანო ბაგრატიონის ცეცხლოვანი „ქართული“ გულწრფელად აგანთებთ, კინოთეატრის ჩაბნელებულ დარბაზიდან გამოსულს, მოგონებების ნაღველთან და ნამდვილ შემოქმედებასთან შეხვედრით გამოწვეულ სიხარულთან ერთად, ჟამთა ტრიალის ცვალებადობის დარდიც გამოგყვებათ, დარდი იმისა, რომ წლები დაუნდობლად სწრაფად მიჭრიან, თან მიაქვთ ცეცხლი ახალგაზრდობისა და, ამიტომაც, ჯანო ბაგრატიონის შეუდარებელი ცეკვა, მხოლოდ ასე, ორიოდე მეტრ ფირზე ჩაწერილი შეგვიძლია ვიხილოთ“.

მართლაც, ეს იყო და ეს! სხვა ფილმებში ბაგრატიონი მხოლოდ ცეკვების დამდგმელად მოგვევლინა. გავიხსენოთ ისინი: ცეკვა „ხევსურული“ ფილმ „ხევსურულ ბალადაში“, „ჯანსულო“, „ჰარირა“ და „ფერხული“ — „მაცი ხვიტიაში“, „ქართული“, „მხედრული“ და „მირზაია“ — „აბესალომ და ეთერში“, და ბოლოს, სახელგანთქმული მაჰმუდ ესამბაევის ცეკვა კინოსტუდია „აზერბაიჯანფილმის“ ნამუშევარში „მე ვიცეკვებ“, ჯანომ გიორგი დავითაშვილთან ერთად განახორციელა.

ვინ იცის, რამდენი ცეკვა შექმნა და აღორძინა თავისებური, ჭეშმარიტი დიდოსტატობით ჯანო ბაგრატიონმა: „ქართული“ და „ფარიკაობა“, „ცერული“ და „ხორუმი“, „ფერხული“ და „მთიულური“, „სამაია“ და „საქორწილო“, „ალვანური“ და „საკოლმეურნეო“, „ყარაჩოღული“ და „კინტოური“, „მოხევური“ და „სიმდი“, „ადანდალი“ და „ხანჯლური“, „პაემანზე“ და „ლახტი“, „მაჭული“ და „ფეხბურთი“...

ნიჭიერი მოწაფეებიც ხომ მრავლად ჰყავდა ყურადღებიან, გულმოდგინე აღმზრდელს. ერთ მათგანს მივცეთ სიტყვა, იქნებ ყველაზე ერთგულსა და სახელოვანს — ნონა გუნიას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ესტრადის პირველი, 1938 წლის, საკავშირო კონკურსის ლაურეატს: — „ამ დიდმა შემოქმედმა ისე შეგვაყვარა ცეკვა, ზოგმა ჩვენგანმა კიდეც ულალატა თავის პროფესიას და ქორეოგრაფიულ ხელოვნებას გაჰყვა. ვისაც ჯანოსაგან ცეკვა უსწავლია, ყველას ეხსომება, თუ რარიგ საინტერესო იყო მისი რეპეტიციები. მკაცრად, მოთმინებით წვრთნიდა მოწაფეებს, როგორც მძერწავი მოუქნელი მასალის დამორჩილებისა და გაცოცხლების პროცესში“.

ძველი, 1946 თუ 1947 წელს დასტამბული აფიშა მიდევს წინ, სულ 200 ეგზემპლარი გამოვიდა: „საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ჯაზი ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით“. წავიკითხოთ სრულად: „დირიჟორი იოსებ ტუღუში, კონფერანსიე თემო ხელაშვილი, სოლისტები: ნონა გუნია, მანანა ბაგრატიონი, სოფიკო გარაყანიძე, ნოდარ ფაილოძე, ნიკუშა ღვაბერიძე, იური რატიანი, აკაკი ერქომაიშვილი“.

დიახ, ბაგრატიონი და ესტრადა, ჯანო და ჯაზი ცალკე თემა გახლავთ, იქნებ დღეს ნაკლებად ცნობილი და ნაკლებად შესწავლილი. საქართველოში ჯერ კიდევ ომამდე არსებობდა ჯაზ-ორკესტრი, რომელსაც ცნობილი კომპოზიტორი რევაზ გაბიჩვაძე ხელმძღვანელობდა, მერე მისმა კოლეგამ დავით თორაძემ და მომღერალმა ვლადიმერ კანდელაკმა შექმნეს თავიანთი ჯაზი, ბოლოს პოპულარულმა ქეთო ჯაფარიძემ და მუსიკოსმა სერგეი ბაბოემ ჩამოაყალიბეს ჯაზ-ორკესტრი. სამწუხაროდ, არც ერთი კოლექტივის სიცოცხლე არ გამოდგა ხანგრძლივი, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ცხადია, ომის ქარცეცხლიანი დღეებიც უშლიდა ხელს.

ჯანო ბაგრატიონმა ჯერ კიდევ 1945 წლის დამლევს შეკრიბა რამდენიმე ნიჭიერი მუსიკოსი უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრიდან, დირიჟორად მათი ხელმძღვანელი, ნიჭიერი ორკესტრანტი იოსებ ტუღუში მოიწვია. ორკესტრი 20 კაცამდე გაზარდეს. ასე გაჩნდა 1946 წელს პირველი პროფესიული, ჭეშმარიტად ქართული ეროვნული ჯაზი. მის გაორკესტრებაში დიდი იყო კომპოზიტორ ნიკოლოზ გუდიაშვილის როლიც.

მხარზე მანდილგადაკიდებული, ვარდისფერი არწივის ფრთებივით ფართოდ ხელგაშლილი ჯანო ბაგრატიონი გულშიჩამწვდომად მღეროდა უკვდავ „ყვავილების ქვეყანას“, ანდა „ყვავილების მეუფეს“, როგორც კიდევ უწოდებდნენ მას. მოგეხსენებათ ეს სიტყვები ცნობილ პედაგოგს ბიძინა ფერაძეს ეკუთვნის, აი მუსიკა კი დღესაც არ ვიცით — გიორგი ვაჩნაძისაა, მიხეილ ჩირინაშვილისა თუ ვინმე უცნობი, როგორც ამბობდნენ, ქუთაისელი ავტორისა? მშვენივრად მღეროდა ჯანოს დაც — მანანა ბაგრატიონი. ახლაც ჩაგვესმის ყურთ მისი ტკბილი „მუხამბაზი“ და „ხმა გულისა“. ჯარიდან ახალი მოსული იყო თემო ხელაშვილი, რომელიც საკმაოდ კარგად ასრულებდა „სალამურს“, „სადღეგრძელოს“ და „ბუშლატს“ (მოგვიანებით მან ბიძინას მშვენიერი სახე შექმნა სანიშვილის ფილმ „ბედნიერ შეხვედრაში“) მომღერალსა და ბანჯოზე დამკვრელს ნოდარ ფაილოძეს, როგორც წესი, ორ-სამჯერ ამეორებინებდნენ „იდეურ“ „მისტერ ვუს“ და მხიარულ „ქუთაისელ მიხოს“. ჯანოს უმცროსი და ნატო თავის მეუღლესთან ნიკუშა ღვაბერიძესთან ერთად ოსტატურად ასრულებდა ნარნარ და ვაჟკაცურ „ქართულს“. გამოჩნდა ახალი კონფერანსიე, ნიჭიერი იუმორისტი დიმიტრი ასათიანი, შოთა არაყიშვილის „მედიკოსების“ საესტრადო ორკესტრიდან რომ მოვიდა ჯანოს ჯაზში. როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ ცეკვავდნენ ნონა გუნია, ვახტანგ გუნაშვილი და ოთარ ავალიანი. ორკესტრის პირველ საყვირთან იოსებ ტუღუშთან ერთად უნდა აღინიშნოს ნიჭიერი პიანისტი და აკორდეონისტი პეტრე ნალბანდიშვილი, რომელმაც მოგვიანებით შექმნა დიდებული სიმღერები „ლურჯი იები“ და „ია ხარ ჩემი გაზაფხულისა“ პოლიტექნიკოსთა ჯაზისათვის, იგი საესტრადო ორკესტრ „რეროს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო გარკვეულ პერიოდში.

ჯანო ბაგრატიონის ჯაზ-ორკესტრმა მოკლე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მთელი საქართველო მოიარა — ბათუმი, სოხუმი, გაგრა, ქუთაისი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ბორჯომი, ხაშური, სურამი, გურჯაანი, ყვარელი, ახმეტა, თელავი... ყველგან სიყვარულით და სიხარულით ხვდებოდნენ, კონცერტები მუდამ ანშლაგით მიმდინარეობდა. ეს იყო ქართული ჯაზის ნამდვილი აღიარება! სავალალოა, მაგრამ გამოჩნდნენ „ვიღაც-ვიღაცეები“, ვინც თავის დაზღვევის მიზნით ებრძოდა ჯაზ-ორკესტრს და, როგორც უკვე მოგახსენეთ, მის „მეფისგვარიან“ სამხატვრო ხელმძღვანელს. ეგრეწოდებულ „რეპერტკომი“, რომელშიც მეტწილად არაკომპეტენტური პირები შედიოდნენ, პირდაპირ ამწარებდა ორკესტრს — ყველა ნომერს გულდასმით ამოწმებდა და „ცხრილავდა“. თუ „ზემოდან“ ვინმე „მამონტოვიჩი“ იტყოდა „ეტო მოჟნო!“, მაშინ ნომერი სახალხოდ შესრულდებოდა, თუ არა და...

— წარმოიდგინეთ, ჩვენს პირველ აფიშებს „საქართველოს სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრის“ ნაცვლად „ჯაზ-ბრიგადა“ დააწერეს, — გაიხსენა ამას წინათ იოსებ ტუღუშმა. — „პასუხისმგებელი ამხანაგები“ ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ეს ჯაზიც დაშლილიყო,

— მთელი ექვსი თვე არ აძლევდნენ მამას და ჯაზის წევრებს კუთვნილ ხელფასს, რომელიც მხოლოდ სასამართლოს ჩარევით მიიღეს, — დაუდასტურა ნათქვამი დიდი ჯანოს შვილმა — ჯანსუღ ბაგრატიონმა, წარსულში „გპი-ის ჯაზის“ ნიჭიერმა მომღერალმა და თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდის წამყვანმა მოთამაშემ (ამჟამად იგი საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა).

ანსამბლის წევრს ნოდარ ფაილოძეს აუკრძალეს ჯორჯ ფორმბის ცნობილი სიმღერა პოპულარულ კინოფილმ „ჯორჯი დინკი ჯაზიდან“ ინგლისურად ემღერა, — ეს ხომ ჩერჩილის ენააო! რატომღაც გამორჩათ ერთი „დეტალი“ — შექსპირიც ინგლისელი იყო. არც ბანჯო მოსწონდათ მაინცდამაინც მის „გასანეიტრალებლად“ ორკესტრში ჯანოს მეჩონგურე დაუსვეს. მოგვიანებით ბაგრატიონმა პატარა ეშმაკობას მიმართა. მავანთა თვალის ასახვევად სცენაზე უზარმაზარი ბუტაფორული ფანდური აღმართა, რომელსაც დეკორატიული ვაზი ჰქონდა შემოწნული...

ბაგრატიონის ჯაზი მაინც დაშალეს. გულმოკლული ჯანო თავისი ჯაზის რამდენიმე წევრთან ერთად სოხუმში გადავიდა და იქ შექმნა ახალი საესტრადო ანსამბლი. ამ კოლექტივმაც სამი წელიწადი იარსება და დიდად შეუწყო ხელი ქართული საესტრადო ხელოვნების პოპულარიზაციას. თბილისში დაბრუნებულმა ჯანო ბაგრატიონმა 1953 წელს ჩვენს ფილარმონიასთან ჩამოაყალიბა ნიჭიერი ახალგაზრდული საესტრადო კოლექტივი — „რეროს“ წინამორბედი. წარმოიდგინეთ, ამ ანსამბლმაც ზუსტად სამ წელიწადს იარსება!

პოპულარული ქართული საესტრადო ანსამბლები „ივერია“, „დიელო“, „ციცინათელა“, „ლალე“ და „მუხამბაზი“, პანტომიმისა და მინიატურების თეატრები, და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ, დიდი მადლიერებით აღნიშნავდნენ ქართული ესტრადის დიდოსტატის, საქართველოს სახალხო არტისტის ჯანო ბაგრატიონის მადლიან ხელს მათი კოლექტივების ჩამოყალიბებასა და დავაჟკაცებაში. იგი ხომ წლების განმავლობაში საქართველოს ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი იყო.

დღეს ჯანო ბაგრატიონი, თხუთმეტი წლის წინათ რომ წავიდა ამ ქვეყნიდან, 85 წლისა იქნებოდა.

ჯადოქარივით დაჰქროდა ცერებზე გაჩირაღდნებულ სცენაზე, ძველი ბაიათივით „ჩაახვევდა“ ხოლმე უტკბილეს „ყვავილების ქვეყანას“, პირდაპირ ნაპერწკლებს აყრევინებდა თავის გახურებულ დაირას...

არა მგონია მასავით ვინმე ხელოვანს, ჩვენში თუ სხვაგან, მიეგოს ასეთი პატივი, ხვდეს ასეთი სიყვარული: ერთდროულად ორი სხვადასხვა ასაკის ანსამბლს, მის კბილა ვეტერანებსა და სულ პატარა მოცეკვავეებს, ერთნაირი სახელი ეტარებინოთ — უკვდავი „ჯანო“, ცეკვისას მართლაც არწივივით რომ ჰკრავდა ირაოს.

ოთარ ნოზაძე.

• • •

სურათებზე: ჯანო ბაგრატიონი 1982 წელს; სცენაზეა ჯანო ბაგრატიონის ჯაზ-ორკესტრი; ცეკვა „ფარიკაობას“ ასრულებენ ნონა გუნია, აკაკი ექვთიმიშვილი და იური რატიანი.

(ფოტო ავტორის არქივიდან.)

„გზის“ გამო გადაკეტილი გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა



28 ოქტომბერს გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომლებმა და ამავე შენობაში განთავსებული ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მუშაკებმა სამუშაო დღე საკმაოდ დაგვიანებით დაიწყეს. მიზეზი მხოლოდ ის არ იყო, რომ იმ დილით მეტროპოლიტენი არ მუშაობდა, მათ გამომცემლობის შესასვლელი ჩაკეტილი დახვდათ, იგი დაეკავებინათ გაზეთ „თბილისის“ რედაქციასთან არსებული კომპანია „გზის“ გაწბილებულ მეანაბრეებს. ისინი კუთვნილი თანხის დაბრუნებას მოითხოვდნენ და მართლებიც იყვნენ, მაგრამ ვერ გავიგეთ, რა შუაში იყვნენ გამომცემლობისა და სხვა რედაქციების მუშაკები, რომელთაც არ აძლევდნენ შენობაში შესვლის უფლებას. მეანაბრეებმა გადაკეტეს კოსტავას ქუჩა, თუმცა პოლიციის ჩარევის შემდეგ, ყოველგვარი ექსცესების გარეშე, გაათავისუფლეს გზა, „გზის“ თავკაცები კი არსად ჩანდნენ.

ჩნდება მრავალი კითხვა, რომლებიც უპასუხოდ დარჩა სხვა კომპანიებთან დაკავშირებულ საქმეებთან; გვინდა გვჯეროდეს, რომ კომპანია „გზის“ გზა ჩიხში არ შედის და ცხოვრების გზას არ გადაუკეტავს „გზისავე“ გამო გზის გადამკეტებს.

სურათზე: პიკეტი გამომცემლობა „სამშობლოს“ შესასვლელთან.

სიმონ კილაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 29 ოქტომბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	1,493,063.32	კუპონი
ავსტრიული შილინგი	192,207.00	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	3,290,633.37	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	657,598.81	კუპონი
გერმანული მარკა	1,352,700.43	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	1,207,402.26	კუპონი
დანიური კრონი	345,503.98	კუპონი
100 იტალიური ლირა	132,781.53	კუპონი
კანადური დოლარი	1,499,042.22	კუპონი
ნორვეგიული კრონი	310,660.70	კუპონი
აშშ დოლარი	2,030,000.00	კუპონი
ფინური მარკა	440,203.65	კუპონი
ფრანგული ფრანკი	395,092.54	კუპონი
შვედური კრონი	282,617.74	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1,628,558.24	კუპონი
10 იაპონური იენი	208,420.07	კუპონი
ეკიუ	2,574,854.69	კუპონი
10 ესპანური პესეტა	162,622.19	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	88,067.66	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	3,251,043.32	კუპონი
ისლანდიური კრონი	30,574.56	კუპონი
ქუვეიტური დინარი	6,852,323.91	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	12,220.40	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	132,155.36	კუპონი
სინგაპურული დოლარი	1,379,356.38	კუპონი
10 თურქული ლირა	572.31	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	600,415.42	კუპონი
რუსული რუბლი	660.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	497,475.00	კუპონი
ლატვიური ლატი	3,644,506.80	კუპონი
ესტონური კრონი	165,745.80	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	2,138.40	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	39,494.40	კუპონი
მოლდავეთის ლეი	469,312.80	კუპონი
ყირგიზეთის სომი	189,512.40	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	2,739.00	კუპონი
უზბეკეთის სუმი	90,453.00	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	1,240.80	კუპონი
სომხური დრამი	5,550.60	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი

ნუგზარ კიკნაძის ნაოსნობა საფრთხეშია!

26 ოქტომბერს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სხდომათა დარბაზში გაიმართა დედამიწის გარშემო თვითნაგები საკრეისერო იახტით ნუგზარ კიკნაძის მარტოდმარტო მოგზაურობისადმი მიძღვნილი საგანგებო პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდნენ ამ მოგზაურობის პროგრამის ხელმძღვანელი კომპანია „ლინას“ დირექტორი ქალბატონი ლინა კიკნაძე და საინფორმაციო, საგამომცემლო და სარეკლამო საქმეთა ხელმძღვანელი, კომპანია „მახარეს“ დირექტორი ჟურნალისტი გვანჯი მანია.

გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს საგულისხმო ინფორმაციები წარმოუდგინეს მოგზაურთა ყოველდღიური პირდაპირი რადიოკავშირის ორგანიზატორებმა — საქართველოს რადიომოყვარულთა ასოციაციის პრეზიდენტმა გივი შპეტიშვილმა, ეროვნულ რადიოკლუბ „საქართველოს“ თავმჯდომარემ მამუკა კორძახიამ, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტმა ვახტანგ ჯაოშვილმა და აფროსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ ზოიძემ.

აღინიშნა, რომ ქარიშხლიანი და ბრძოლების მიუხედავად, ნუგზარ კიკნაძემ წარმატებით გადალახა შავი, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვები. მაგრამ ხმელთაშუა ზღვაში — საბერძნეთის ნავსადგურ პირეოსიდან იტალიისაკენ მიმავალი ისევ მოექცა ძლიერ შტორმში და შეპირებული ეკიპირების უქონლობის გამო იძულებული გახდა ისევ პირეოსში მიბრუნებულიყო.

დედამიწის გარშემო მოგზაურობისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა სიტყვით გამოსულმა ყოველთა ქართველთა კონგრესის პირველი ფორუმის მონაწილემ, საბერძნეთში მოღვაწე ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა გიორგი გოგ

პრესკონფერენციის ყველა მონაწილემ გაიზიარა ნუგზარ კიკნაძის სატკივარი და მიმართვა საქართველოს რესპუბლიკისა და უცხოეთის დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისადმი: აუცილებელი ქმედითი დახმარება გაუწიონ დედამიწის გარშემო მარტოდმარტო მოგზაურობას, რომელიც საქართველოს ისტორიაში პირველად ეროვნული დროშით ხორციელდება.

საქინფორმისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 26 ოქტომბერს ბოროტმოქმედმა სიცოცხლეს გამოასალმა ჩვენი კოლეგა, საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი, ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი მეგობარი

ზურაბ ბრძოლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ინტერვიუს „ედუარდ შევარდნაძის არცთუ ტკბილი ცხოვრება“ მესამე სვეტის ქვემოდან 21-ე სტრიქონში უნდა იკითხებოდეს — „პროვინციული ფაშიზმი“.

კანონი მოქმედებს

მკვლელობა არამი ლუკმისათვის

ამას წინათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ი. ტყეშელაშვილის თავმჯდომარეობით სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა 26 წლის თეიმურაზ კოპლატაძეს.

თითქმის ერთი წლის წინათ კოპლატაძემ და მისმა თანამზრახველებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. № 57ა სახლში მცხოვრები დომენტი ბანძელაძე და მისი 16 წლის ქალიშვილი — ლილიანა.

მკაცრია განაჩენი. სამაგიეროდ, განსაკუთრებულად შემზარავია იმ ორი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი, რომლებიც ყაჩაღთა ბოროტ ზრახვებს შეეწირნენ.

ყაჩაღებმა, შენს ნაშრომ-ნაოფლარს რატომ უხმოდ არ იძლევიო, ოჯახის უფროსს ჯერ ქალიშვილი მოუკლეს, შემდეგ გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით, არასრულწლოვან ვაჟს მოსატაცებლად დაებღაუჭნენ. ამის შემხედვარე გამწარებული მამა სასიკვდილოდ დაჭრა კოპლატაძემ. (ექიმების დიდი მცდელობის მიუხედავად დომენტი ბანძელაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა. გარდა იმისა, რომ იგი მძიმედ იყო დაჭრილი მუცლის არეში, იარაღის ტარით ცემისგანაც ამოვარდნილი ჰქონდა ქვედა ყბა, სხეულზე აჩნდა სისხლნაჟღენთები).

უმძიმეს დანაშაულში მხილებულია ხუთი ქართველი. ორი მათგანი — თეიმურაზ კოპლატაძე და 24 წლის ბესარიონ შოშიტაიშვილი გასამართლდნენ, დანარჩენნი იძებნებიან.

თეიმურაზ იურის ძე კოპლატაძე, თბილისელი, საშუალო განათლებით, უცოლშვილო, ნასამართლობის არმქონე, ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატის წისქვილის საამქროს მტვირთავი მუშა.

ბესარიონ დურმიშხანის ძე შოშიტაიშვილი, თბილისელი, საშუალო განათლებით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, უშვილო, ნასამართლობის არმქონე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს მორიგის თანაშემწე.

კოპლატაძე დანაშაულის უშუალო მონაწილე, ყაჩაღი და დომენტი ბანძელაძის მკვლელია.

შოშიტაიშვილი ყაჩაღობის თანამონაწილე, შორიდან მომზირალი და საკუთარი სატაბელო იარაღით 16 წლის გოგონას მკვლელის ხელშემწყობი.

დანარჩენი სამის ვინაობას გასაგები მიზეზების გამო არ ვასახელებთ. თუმცა წინასწარი გამოძიებისთვის ცნობილია და წლეულს, ივლისიდან მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე საწარმოებლად არის გამოყოფილი.

მკვლელობის ფაბულა

1993 წლის 11 ნოემბერი იდგა. ერთი ახალგაზრდა კაცი ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ნათესავს ესტუმრა. უკან გამობრუნებულს ეზოში მდგარი საკუთარი ავტომანქანა გაქურდული ხვდება (წაღებულია წინა საქარე მინა და აკუმულატორი).

მეორე დღეს დაზარალებული ამის თაობაზე უყვება ძმას. ეს უკანასკნელი დახმარებას სთხოვს თავის მეგობარს. ეს მეგობარი ყოველივეს უყვება თეიმურაზ კოპლატაძეს, რომელიც თავის მხრივ საქმეში რთავს თავის მეგობარს (ეს ის მეგობარია, შემდეგ ერთი გასროლით რომ კლავს ლილიანას, და დღემდე იმალება).

გაქურდული მანქანის პატრონი და მისი გულშემატკივრები დილის თერთმეტ საათზე ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ნათესავთან მიდიან და ბჭობენ, თუ ვის შეეძლო ავტონაწილების წაღება. ნათესავი მეზობლად მცხოვრებ არასრულწლოვან გელა, ანუ „კეჩო“ ბანძელაძეზე ეჭვობს. ეძახიან მას. ბიჭი კატეგორიულად უარყოფს ფაქტს. ამის მიუხედავად, ისინი ემუქრებიან და აფრთხილებენ: თუ არ მიიტანს მოპარულს, გაუსწორდებიან — მოიტაცებენ და...

მერე იმ ნათესავისაგან საინტერესო ინფორმაციას იღებენ, „კეჩო“ შეძლებული ოჯახის შვილიაო...

გადაწყდა: საღამოსვე ყაჩაღურად დასხმოდნენ თავს ბანძელაძეების ოჯახს...

ვის მოუვა აზრად ამგვარი ბოროტული განზრახვა? ვფიქრობ, მხოლოდ იმას, ვისთვისაც სიავეს უკვე ჩაუკლავს ყოველგვარი სიკეთე, წაურთმევია გონება, დაუბნელებია სული და გული...

საგულისხმო ცნობა

ბანძელაძეების მკვლელებმა, კოპლატაძემ და მისმა მიმალულმა მეგობარმა, ჯერ კიდევ ივლისში (მარშან) გაქურდეს ერთ-ერთი თბილისელის — რ. მიხიაშვილის ბინა. იქიდან წამოღებულ „ზამშეს“ ქურთუკს კოპლატაძე საკუთარივით იცვამდა. (იმ ავბედით დღესაც ის ეცვა, აქამდე გაუმჟღავნებელი ქურდობის გამო ბედნიერ ნადავლად თუ თვლიდა), „რაც არ გერგება არ შეგერგებაო“. ეს ანდაზა ერთხელ მაინც თუ გითქვამთ თქვენი შვილისთვის? — მინდოდა მეკითხა კოპლატაძის მშობლებისათვის, მაგრამ მიხვდი, განაჩენით გაოგნებულნი და გულწასულნი, ვერ გამიგებდნენ და ნიშნის მოგებად ჩამითვლიდნენ...

დავუბრუნდეთ მკვლელობის ფაბულას.

1993 წლის 12 ნოემბრის საღამო. ხუთი მეგობარი „ვოლგით“ უახლოვდება ბანძელაძეების სახლს. ავტომანქანას შორიახლოს აჩერებენ, საყაჩაღოდ მიდის ორი: თეიმურაზ კოპლატაძე და მისი მეგობარი. დანარჩენი სამი მანქანაში ლოდინს ამჯობინებს, თუმცა ერთი საკუთარ „მაკაროვს“ აძლევს კოპლატაძეს, მეორე — შოშიტაიშვილი კი ისეთივე იარაღს გადასცემს კოპლატაძის მეგობარს.

შეიარაღებულ ყაჩაღებს სადარბაზოში ხვდებათ კიბის უჯრედზე სიგარეტის მოსაწევად მდგარი ბანძელაძეების სტუმარი, ჯაბა ძნელაძე. მას ეკითხებიან, რომელია ბანძელაძეების ბინაო. ბიჭი ნახევრადღია კარზე მიუთითებს, ხელის კვრით აგდებენ ბინაში და გელასთან ერთად კოპლატაძეს სამზარეულოში გაჰყავს ისინი. მეორე იარაღის მუქარით ოჯახის უფროსს ფულსა და ძვირფასეულობას სთხოვს. გაძალიანების შემდეგ იარაღის ტარით სცემენ და ჯიბიდან 100 ამერიკულ დოლარსა და 40 ათას რუბლს აცლიან. შემდეგ ჩხრეკენ ბინას, ბავშვებს აიძულებენ დაეხმარონ ჩანთებში ნივთების ჩალაგებაში. არ ჰყოფნით, მეტი უნდათ, მაგრამ მეტს ვერ პოულობენ და შემდეგში გამოსასყიდის მიღების მიზნით გელას მოტაცებას ცდილობენ. კოპლატაძის მეგობარი ბიჭს სადარბაზოსაკენ მიათრევს, მამა შვილის დასახსნელად იწევს, მას გზას უღობავს კოპლატაძე. ამ დროს სადარბაზოში შემოდის ლილიანა და ძმისა და მამის გადასარჩენად კივის. გელას ჩაბღაუჭებული ყაჩაღი, რატომ კივიო, ერთი გასროლით ადგილზე კლავს გოგონას. სასოწარკვეთილი მამა მეორე ყაჩაღისაგან ცდილობს თავის დაღწევას, მაგრამ... კიდევ ერთი გასროლა და კოპლატაძე სასიკვდილოდ დაჭრის დომენტი ბანძელაძეს. ამის შემდეგ, შიშისგან გონდაკარგულები, ბიჭს ხელს უშვებენ და მანქანისკენ გარბიან, პატრონებს უბრუნებენ იარაღებს, ამბობენ, მგონი ოჯახის უფროსი დავჭერითო და უჩინარდებიან.

საკუთარი ტყავის გადარჩენის ცდა.

ბესარიონ შოშიტაიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს ექსპერტებს ეკითხება: სტოვებს თუ არა ტყვიასა და მასრაზე რაიმე კვალს პისტოლეტის ლულის ჭრილი და დამრტყმელი მექანიზმი. და კიდევ, შეიძლებოდა თუ არა ლულის გამოცვლაო. უპასუხეს, კვალი უსათუოდ რჩება, ლულის შეცვლა კი სასურველია ქარხნული წესით, რადგან „კუსტარულად“ გამოცვლა სიზუსტეს უკარგავს იარაღს...

არ დაიმალა შოშიტაიშვილის მცდელობა. არც ის, რომ ყაჩაღებს ახლდა და ერთ-ერთს უშუალოდ თავდასხმის წინ გადასცა კუთვნილი პისტოლეტი...

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მას მიუსაჯა: ათი წლით პატიმრობა, ქონების კონფისკაციით, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

თეიმურაზ კოპლატაძის მიმართ განაჩენის გამოტანისას სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო, რომ დამნაშავეს არ გააჩნდა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. დამამძიმებლად კი ჩათვალა მკვლელობამდე მოქალაქე მიხიაშვილის ბინის გაქურდვა, ბანძელაძის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის დროს დაზარალებულთა აბუჩად აგდება, მძიმე შეურაცხყოფა, თავხედური ქცევა და დიმიტრი ბანძელაძის მკვლელობა იმ მომენტში, როცა ეს უკანასკნელი ბინაში შეჭრილი შეიარაღებული ყაჩაღებისაგან შიშველი ხელებით ცდილობდა დაეხსნა შვილი. და როგორც განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩამდენს განესაზღვრა სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილით დასჯა.

მხეცი — წერს დოსტოევსკი, ვერასოდეს იქნება ისეთი სასტიკი, როგორც ადამიანი...

არასრულწლოვან გელა (კეჩო) აწამებენ და უკლავენ მამას, დარუწამებენ და უკლავენ მამას, დარდისაგან მალე გარდაეცვალა დედაც..

რისი იმედი აქვთ მიმალულ ბოროტმოქმედთ?

რუსუდან ლორთქიფანიძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილ

ინდექსი